საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 31 იანვარი. 2017 წ. №22 (8159), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მთავარი ცოდვა

ხელისუფლების ჩინოვნიკთა პრემირებული ღორმუცელობა (4)

ქვეყანაში სოციალური უსამართლობის შემხედვარემ შეიძლება, იფიქრო, ეს ადამიანები ხელისუფლებაში საქმის საკეთებლად, ქვეყნის ასაშენებლად და ხალხის საკეთილდღეოდ კი არა, იმისთვის მოდიან, რომ პირადი ცხოვრება მოიწყონ, ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი თანხები დაითრიონ და გარეთ გაუხედავად, სხვათა ჭირის გაუზიარებლად, უნამუსოდ ილაღონ.

მეცნიერებას შერწყმული შემოქმედება

ესეც მეოთხე და ოთხწიგნეულის გვირგვინი (7)

აპირებს თუ არა ტრამპი (8)

რუსეთისთვის საქართველოს „ჩაბარებას“

დაუჯერეთ ჯონი ხეცურიანს, მის თანამოაზრეებს და თავი დაანებეთ უსაგნო ლაყაფს! (5)

ოკუპირებულ ტერიტორიებს – განსაკუთრებული სტატუსი! (9)

ახალი პროგრამა მევენახეთათვის (6)

ელექტრომობილის შეძენისას დაახლოებით 80-პროცენტიან ეკონომიას ვიღებთ (6)

SOS! „ბავშვთა სამყარო“ მთლიანად განადგურდა

მოქალაქეებს, რომლებსაც ხანძრის გამო საქონელი დაეწვათ, საკუთარ ნაწილში, მაქსიმალურ შეღავათს გაუწევს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხოლო ეროვნული ბანკი, მათ უშუამდგომლებს ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა შესაძლებელი გახდეს საბანკო ვალდებულებების გადავადება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია ყველა შესაბამისი ინსტიტუტის ძალისხმევის კონსოლიდაცია, რათა დაზარალებულებს ტვირთი მაქსიმალურად შეუმსუბუქდეთ.

(11)

გიორგი კვირიკაშვილი: ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოვაჭრეებს შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ



გულწრფელი მადლობა მხარდაჭერისთვის!

საქართველო-ევროპის **საბჭოს თანამშრომლობა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ევროპის საბჭოს ჩართულობა კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებსა და ნდობის აღდგენის პროცესში — საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის შეხვედრის მთავარი თემები იყო.**

საუბარი შეეხო საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესს, სასამართლო რეფორმას, ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის მნიშვნელობას.

მხარეებმა განიხილეს ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2016-2019 წლებისთვის, რომელიც საქართველოში კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას და ნდობის აღდგენის პროცესის ეფექტურ განხორციელებას ითვალისწინებს.

შეხვედრისას, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დემოკრატიული რეფორმების განხორციელების პროცესში, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი დადებითად შეაფასა.

გიორგი კვირიკაშვილმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, თორბიორნ იაგლანდს შეხვდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო, 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ევროპის საბჭოსთან აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს.**

თანამშრომლობა ისეთ სფეროებს შეეხება, როგორიცაა სასამართლო სისტემა, დემოკრატიული მმართველობისა და ადამიანის უფლებების საკითხები. მხარეებმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობაზეც ისაუბრეს. ირაკლი კობახიძის განცხადებით, ამ მიმართულებით, ქართული მხარისთვის ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა ინკლუზიურია და ყველა გადაწყვეტილება ფართო კონსესუსის შედეგად მიიღება.

ირაკლი კობახიძემ თორბიორნ იაგლანდს მადლობა გადაუხადა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მომზადებული კონსოლიდირებული ანგარიშისთვის. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, სამწუხაროა, რომ სამდივნოს დელეგაციას არ ეძლევა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში შესვლის საშუალება, რათა ადგილზე შეაფასოს არსებული მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ გენერალური მდივნის ყოველწლიური ანგარიშები საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. მისი თქმით, აღნიშნული ანგარიშების მომზადება საქართველოს მიმართ ყურადღებისა და მხარდაჭერის კიდევ ერთი დადასტურებაა. შეხვედრაზე საარჩევნო და სასამართლო სისტემის რეფორმებიც განიხილეს.

ირაკლი კობახიძე: რეფორმას ჩრდილი არ უნდა მიადგეს!

პრეზიდენტის **მიერ ვეტოს დადებას უარყოფითად შევაფასებდი,** — ასე ეხმაურება პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებას, რომელმაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს და მასთან დაკავშირებულ სხვა პროექტებს ხელი არ მოაწერა და მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს უკან დაუბრუნა.

„ვეტოს დადებას უარყოფითად შევაფასებდი - ეს შემიძლია ახლავე ვთქვა. რეალურად, ეს უპრეცედენტო რეფორმა იყო, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ გატარდა და ადგილი ჰქონდა გარკვეულ მცდელობას ამ უპრეცედენტო რეფორმისთვის ჩრდილის მიყენების, რაც ნამდვილად დასანანია. დანარჩენი დეტალებია. ჩვენ მსჯელობა გვექნება და ამ კანონპროექტს მომდევნო სესიაზე მივუბრუნდებით“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ის, რაც ევროსასამართლოზე მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს!

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ის, რაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამის კომიტეტში მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს და პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მოსამართლე ჰყავდეს: **„ეს იყო მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილება. ჩვენ, რა თქმა უნდა, თანამშრომლობას გავაგრძელებთ იმისათვის, რომ კონკრეტულ კანდიდატებზე შევჯერდეთ და ასეთი რამ არ განმეორდეს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მოსამართლით წარმოდგენილი იყოს სტრასბურგის სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები გაგრძელდება. პარლამენტს აქვს თავისი ფუნქციები ამ სფეროში. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სათანადო პროცესის საფუძველზე ავირჩიოთ მოსამართლე სტრასბურგის სასამართლოში — ამას პარლამენტი ყურადღებას დაუთმობს“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრეზიდენტის გამოსამშვიდობებელი შეხვედრა ირანის ელჩთან

სახელმწიფოს **მეთაურმა გუშინ საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აბას თალებიფარი მიიღო, რომელმაც საქართველოში მისია დაასრულა.**

შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-ირანის ურთიერთობა და ქვეყნებს შორის აქტიური თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარების მნიშვნელობა განიხილეს. საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა დიპლომატს საქართველოსა და ირანის ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და მას მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

„გაზპრომთან“ ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია!

ენერგეტიკის მინისტრის და ვიცე-პერმიერის, კახა კალაძის თქმით, „გაზპრომთან“„ ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და ძალაშიც არის შესული. ხელშეკრულება ორწლიანია და ის 2017 წელს მაგისტრალური გაზსადენით გატარებული ბუნებრივი აირის შერეული წესით ანაზღაურებას, და 2018 წლიდან მხოლოდ ფულად ანაზღაურებაზე გადასვლას ითვალისწინებს. მინისტრის თქმითვე, ხელშეკრულების დეტალების გასაჯაროებაზე ქართული მხარე გადაწყვეტილებას ცალმხრივად ვერ მიიღებს.

„კონკრეტულად ქართული მხარის გადასაწყვეტი არ არის, თუ რა კონკრეტული დეტალები უნდა იყოს გასაჯაროებული. ეს უნდა მოხდეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. როგორც გითხარით, ჩვენ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ზოგადად, შემოდის სხვადასხვა წერილი, რომ მაგალითად, უნდა იყოს გასაჯაროებული „სოკარის“ ხელშეკრულება, „შაჰდენიზის“ ხელშეკრულება. მგონია, რომ ეს არასწორია, როგორც ნორმალურ განვითარებულ ქვეყნებში ხდება, ასეთი ხელშეკრულებები არის კომერციული საიდუმლოება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის მიერ მის პარლამენტში დაბარებას, კალაძე აცხადებს: **„ამომწურავი ინფორმაცია იქნა მიწოდებული, რაც ჩვენს მოსახლეობას აინტერესებდა. პოლიტიკურ სპეკულაციებსა და შოუებში მონაწილეობის მიღებას ნამდვილად არ ვაპირებ“!...**

ბრიტანული სამხედრო ხომალდი შავ ზღვაში

დიდმა **ბრიტანეთმა ცივი ომის შემდეგ პირველად შავ ზღვაში სამხედრო ხომალდი გააგზავნა. Sunday Mail-ის ინფორმაციით ხომალდი HMS Diamond-ი, რომელიც აღჭურვილია რაკეტებით, უკრაინის სანაპიროსკენ მიემართება და მის ბორტზე 60-მდე საზღვაო ფეხოსანი იმყოფება. გამოცემის ინფორმაციით, ხომალდი მონაწილობას მიიღებს 650 ბრიტანელი სამხედროს უსაფრთხოების დაცვაში, რომლებიც მონაწილობას იღებენ უკრაინაში მიმდინარე „საიდუმლო სწავლებაში“.**

„დიდი ბრიტანეთი ყველას უგზავნის მკაფიო სიგნალს, რომ ჩვენ დავიცავთ დემოკრატიას მთელ მსოფლიოში და მხარს დავუჭერთ სუვერენიტეტს, დავიცავთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობას“ — განუცხადა გამოცემას ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა მაიკლ ფელონმა.

მამუკა მდინარაძე: ვფიქრობ, შესაძლებელია, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა...

მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე GHN-თან საუბრისას ამბობს, რომ პირადად ის საარჩევნო სისტემის შეცვლასა და მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ემხრობა, მაგრამ გარკვეული პირობებით. ის ამ პირობად ასახელებს იმას, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებამ კონსტიტუციური კრიზისი არ უნდა შექმნას.

კონკრეტულად რა კრიზისზე საუბრობს და როგორია პირადად მისი და ხელისუფლების პოზიცია კონსტიტუციაში ცვლილებების შესატან საკითხებთან დაკავშირებით GHN მამუკა მდინარაძეს ესაუბრა.

— ჩვენ როგორც წინასწარვე განვაცხადეთ, კომისიაში არ მოვსულვართ წინასწარ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებებით და ამ კომისიას, ფორმატს და საზოგადოებას პატივი ვეცით, რომ გადაწყვეტილება მსჯელობის შემდეგ მივიღოთ. ეს პრინციპი ეხება ყველა საკითხს და მათ შორის საარჩევნო პრინციპსაც. აქედან გამომდინარე, ჩვენ რა თქმა უნდა, გვაქვს აზრები და ეს აზრები გაყოფილია მაჟორიტარული სისტემიდან პროპორციულზე გადასვლასთან დაკავშირებით ამიტომ ერთი ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვაქვს, მაგრამ აუცილებლად მივაღწევთ კონსენსუსს. ამ საკითხზე მსჯელობა და კამათი კომისიის სხდომაზეც მიდის, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ ისეთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება.

— ანუ, მმართველ პარტიაშიც არ არის ამაზე ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული! ვინ ეწინააღმდეგება მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას არიან თუ არა მათ შორის, პარტიის ლიდერები რამდენად არის შანსი, რომ მათი დარწმუნება მოხერხდეს თუ პარტია საბოლოოდ მათ პოზიციას დაუჭერს მხარს?

— დიახ, მაჟორიტარულ სისტემას ჰყავს თავისი მხარდამჭერები. მმართველ გუნდში, არაერთი ადამიანი ფიქრობს, რომ მაჟორიტარული სისტემა არის ის სისტემა, რომელიც ზუსტად ასახავს ამომრჩევლის ნებას. აქედან გამომდინარე, ამ აზრთა სხვადასხვაობის ფონზე უნდა შევძლოთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც დავპირდით ჩვენს საზოგადოებას და ეს იქნება ფართო კონსენსუსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება.

— პირადად თქვენ რა პოზიცია გაქვთ?

— პირადად ჩემი პოზიციაა, რომ შესაძლებელია პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, თუ კონსტიტუციაში ისეთი გარანტიები იქნება ჩადებული, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ არ იყოს კონსტიტუციური კრიზისის მაღალი შანსი. კონსტიტუციური კრიზისები ჩვენი ქვეყნისთვის კარგი არ იქნება. თუ კომისიაში ისეთი პრინციპის მოძებნა შევძელით, რომელიც ამ კრიზისებს აგვაცილებს, მაშინ მე ნამდვილად არ ვარ წინააღმდეგი, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავიდეთ. თუმცა, ამაზე მმართველ გუნდში, საერთო აზრი ისევე როგორც საზოგადოებაში, ჯერჯერობით ნამდვილად არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მსჯელობის შედეგად მიიღწევა.

— მაჟორიტარულის გაუქმებამ რა კონსტიტუციური კრიზისი შეიძლება შექმნას?

— მთავარი ის არის, რომ აქ არის თანხმობა და ამაზე კონსესუსის მიღწევაა საჭირო. ჩემთვის ეს არის მთავარი. ამიტომ დაველოდოთ, რა სქემები იქნება შემოთავაზებული.

— კამათი უკვე გამოიწვია კონსტიტუციაში ევროატლანტიკური კურსის შესახებ ჩანაწერის გაკეთების საკითხმა. მმართველ გუნდს რა პოზიცია ექნება და პირადად თქვენ რომელ მოსაზრებას უჭერთ მხარს?

— სიმართლე გითხრათ, მე ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. აქ საკამათო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი თემები კონსტიტუციაში საერთოდ უნდა დაფიქსირდეს თუ არა. თუ კომისიის წევრები გადაწყვეტენ, რომ ასეთი დათქმები შესაძლებელია, ბუნებრივია, დავეთანხმები, რომ ასეთი კურსის შესახებ იყოს ასეთი ჩანაწერი და, თუ გადაწყვეტენ, რომ არ უნდა იყოს, მეც დავუჭერ იმას მხარს, რომ არ იყოს.

— ისე გამოდის, რომ თქვენ პირადად პოზიცია არ გაქვთ და აპრიორი მიღებულ გადაწყვეტილებებს უჭერთ მხარს? ასე კომისიაში ყოფნას რაღა აზრი აქვს?

— არა, ასე არ არის. კონსტიტუციონალისტები ამაში არიან ექსპერტები და, თუკი ისინი ჩათვლიან და მიიჩნევენ, რომ ასეთი დათქმები უნდა იყოს, მაშინ დავეთანხმები და თუ არ ჩათვლიან, მაშინ ისე მოვიქცევი, როგორც ზემოთ გითხარით.

— პარლამენტის მთლიანად ქუთაისში გადმოტანის საკითხი არის თუ არა უკვე შეთანხმებული და რამდენად არის მოსალოდნელი, რომ კონსტიტუციით განისაზღვროს არამხოლოდ პარლამენტის, არამედ ყველა საკონსტიტუციო ორგანოს ადგილმდებარეობის საკითხი?

— ბოლოდან რომ დავიწყო, ამ საკითხზე გუნდში მსჯელობა არც ყოფილა და მხოლოდ კომისიის სხდომაზე დადგა ერთ-ერთი წევრის მხრიდან. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არ აისახება კონსტიტუციაში, ამაზე მსჯელობა არ იქნება.

რაც შეეხება პარლამენტის ადგილმდებარეობას, კომისიის წევრთა ძალიან დიდი უმრავლესობა, პრინციპში 1 წევრის გარდა, აქტიურად აყენებს საკითხს, რომ პარლამენტის ადგილმდებარეობად კონსტიტუციაში უნდა განისაზღვროს თბილისი, როგორც დედაქალაქი და სწორედ, ჩვენ მოგვიწია იმ პოზიციის დაცვა, რომ ხომ არ ჯობს, დავტოვოთ, როგორც არის ან საერთოდ, ხომ არ ამოვიღოთ ეს მუხლი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებითაც ცხარე კამათი და მსჯელობა იქნება. თუმცა, ჯერჯერობით, გადაწყვეტილების შესახებ ვერაფერს გეტყვით.

— თქვენ რას ფიქრობთ, სად უნდა იყოს?

— ჩემი პოზიციაა, რომ შესაძლოა, მაქსიმუმ კონსტიტუციიდან ადგილმდებარეობის საერთოდ ამოღებას დავეთანხმო, რადგან, როგორც წესი, ასეთი საკითხები კონსტიტუციით არ განისაზღვრება. პარლამენტის ადგილმდებარეობის დათქმები კონსტიტუციებში არ არის. თუმცა, მე უფრო ვიხრები იმ აზრისკენ, რომ ქუთაისელებს ის შანსი, რომ პარლამენტი იყოს ქუთაისში, ნამდვილად არ უნდა წავართვათ...

— კიდევ ერთი საკითხი, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ კომისიის შექმნისას განაცხადა, იყო მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების გამარტივება. ამ საკითხზე რა ხდება?

— ეს ის საკითხია, რაც ჩემს ჯგუფში არ განიხილება და არ ვიცი, რა ხდება. როგორც იცით, კომისია ჯგუფებად არის დაყოფილი და ყველას თავისი საკითხი აქვს განსახილველი. ეს თემა ჩვენს ჯგუფში არ განიხილება და მე როგორც ვიცი, არც ჯგუფში არ დაწყებულა ამ საკითხის განხილვა.

ესაუბრა
რუსა მაჩაიძე

◎ ვაი, ჩვენი ბრალი!

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას 2-კვირიან ვადას აძლევს და მანიფესტაციებს აანონსებს!

თუ 2 კვირის განმავლობაში ხელისუფლება ძმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, რათა რუსეთის მხრიდან ქართველი სამხედროების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ განხორციელდეს, ნაციონალური მოძრაობა მანიფესტაციებს აანონსებს.

ამავე დროს „ქართული ოცნების“ მხრიდან გამოცხადებულ ღალატის ქრონიკის კონკრეტულ მაგალითებზე საუბრობს.

აღნიშნულის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა ისაუბრა.

„მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო გია ცერცვაძეს გათავისუფლება. ეს არის ქართველი და უკრაინელი ხალხის გამარჯვება, ქართველი საზოგადოების მხრიდან ჩვენი მეომრების, გმირების დაფასება.

ჩვენ არ ვაპირებთ რომ ხელები ჩამოვუშვათ და ჩვენი სამხედროების ბედი ხელისუფლებას მივანდოთ. თუ 2 კვირის განმავლობაში ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, რათა რუსეთის მხრიდან ქართველი სამხედროების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ განხორციელდეს, თუ ხელისუფლება რუსეთში ჩვენი მეომრების ექტრადიციის ხელშეწყობას არ შეწყვეტს, ჩვენ სახელმწიფო უწყებების შესასვლელებთან მანიფესტაციებს დავიწყებთ, რათა ამ გაზულუქებულ ადამიანებს არ მიეცეთ საშუალება, მშვიდად ჩააბარონ ჩვენი მეომრები საქართველოს მტერს.

ფაქტია, რომ ხელისუფლების მხრიდან ჩვენი მეომრების დევნა გრძელდება. რუსული მედია სააგენტოები ავრცელებენ იმ მეომრების სახელებსა და გვარებს, რომლებიც

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდნენ და ახლა უკრაინის დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რომ სწორედ ამ ადამიანების წინააღმდეგ გაგრძელდება სისხლის სამართლის დევნა.

სამწუხარო პროცესია, მაგრამ რეალობაა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან გამოცხადებულია ღალატის ქრონიკა და ამაზე შემდეგი ფაქტები მიუთითებს:

ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ აცხადებდნენ, რომ საქართველომ 2008 აგვისტოში ომი დაიწყო, რაც სრულიად შეესაბამება რუსულ ნარატივს.

„ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებით, საქართველო არ უნდა იყოს დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების საგანი;

არჩევნების შემდეგ მყისიერად გაათავისუფლეს რუსი ჯაშუშები —შკრილნიკოვი, ჩაპლიგინი, გევორქიანი, ჩახალიანი ისე რომ არ მოხდა, ამავე გაყალბებული ბრალდებით რუსეთის ფედერაციაში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების გამოშვება;

ხდება სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა ან/და დაკავება იმ ქართველი სამხედროების, რომლებმაც ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს;

ხდება ქართული სამხედრო წარმოების გაჩერება, და საიდუმლო თავდაცვითი ნაგებობების შესახებ ინფორმაციის რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებისათვის გადაცემა;

რუსეთი-სომხეთის რკინიგზის აღდგენაზე საუბარი საქართველოს მოქალაქეების გვერდის ავლით;

რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომთან“ საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოება. „გაზპრომთან“ ურთიერთობა ზიანს აყენებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს;

ევროკავშირში და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოლიტიკიდან უკან დახევა, რისი დასტურიც ნატო-ს სამიტზე არ დასწრებაა;

ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოშლის პროცესის დაწყება, სამხედროების ჯარიდან მასიურად გათავისუფლებისა და რიგი ქვედანაყოფების დაშლის გზით;

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ სამხედროების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციაში საქართველოს ხელისუფლების აქტიური მონაწილეობა.“

რედაქცია ყოველგვარი კომენტარის გარეშე ბეჭდავს აკო მინაშვილის ამ სისულელეს. დაე, კიდევ ერთხელ განსაჯოს მკითხველმა, თუ რა მატყუარები არიან ავადმყოფი ნაციონალები!

კონგოში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად ქართველი მფრინავები არ დაღუპულან

— „კონგოში მომხდარ ინციდენტს ქართულ სამშვიდობო მისიასთან, რომელიც ცენტრალურ აფრიკაშია, არავითარი კავშირი არა აქვს. აქ საუბარია სხვადასხვა წლებში, მათ შორის 2006, 2007, 2010 და 2011 წლებში კერძო მიზნებით საქართველოდან წასულ მფრინავებზე და სხვადასხვა ტექნიკურ პერსონალზე, რომლებიც ამჟამად მუშაობენ კონგოს რესპუბლიკაში. ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციით, განხორციელდა ვერტმფრენის ავარიული დაშვება, რა დროსაც არც ერთი ქართველი არ დაღუპულა და არც მნიშვნელოვანი დაზიანებები არ მიუღიათ“, — განაცხადეს თავდაცვის სამინისტროში.

დევნილების საპროტესტო აქცია

ზუგდიდში, რაიონული საავადმყოფოს ყოფილ შენობაში ჩასახლებულმა დევნილებმა შიმშილობის აქცია დაიწყეს და პირი ამოიკერეს. აქციის მონაწილეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუჯობესებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ შენობა ამორტიზებულია. მათივე თქმით, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ბარამიას ქუჩაზე დევნილებისთვის ახლადაშენებულ კორპუსებში, ბინები არ შეხვდათ.

ხელისუფლების ჩინოვნიკთა პრემირებული ღორმუცელობა

ARA მგონია, მკითხველს გაუჭირდეს იმის გამოცნობა, ვის ღორმუცელობაზე მექნება საუბარი ამ წერილში. ქართველ ჩინოვნიკთა და კანონმთხზველთა უნამუსობა-ღორმუცელობაზე (ერთეულთა გამოკლებით) იმდენჯერ ითქვა და დაიწერა პრესაში, რომ შეიძლება ერთგვარად უხერხულადაც კი ვგრძნობდე თავს როგორც ჟურნალისტი, მაგრამ რადგან თავად ხელისუფლება „დაბალი ფენის“ დანამუსებას, ყურადღებას არ აქცევს, იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ შევეხო ჩვენი საზოგადოებისთვის ამ გაუნელებელ ტკივილს.

ამას რომ ვამბობ, არ მინდა ვინმემ იფიქროს, ნაცარს ვაყრი იმ სასიკეთო მონაპოვარს, რასაც ქვეყანამ კოალიციური ხელისუფლების მმართველობის წლებში მიაღწია. რა დასამალია, 2012 წლის ოქტომბერში ხალხის არჩევანით მოსულმა ივანიშვილის მთავრობამ ქვეყანა კი იხსნა სააკაშვილის მოძალადე, ტერორისტული და სისხლიანი რეჟიმისგან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. დღეს რომ კაცს დაყაჩაღებისა აღარ ეშინია, ბიზნესი რომ თავისუფლად სუნთქავს, ეს, რა თქმა უნდა, ამ ხელისუფლების დამსახურებაა, მაგრამ მისივე დამსახურებაა ხალხის მიერ პოლიტიკურ სანაგვეში მოსროლილი ნაცბანდისთვის კრავის ქურქის შემოხვევა და მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარება, რასაც ის საკუთარი სხეულის გირჩ-ქინძებად დაშლის შემდეგაც „მყარად“ ინარჩუნებს.

მარტო ეს არ არის, რის გამოც ხალხი კოალიციური მმართველობის ნაღვაწით უკმაყოფილოა. ყველას გვახსოვს, თავის დროზე ქვეყნის მხსნელებად მოვლენილი ნაცები სინამდვილეში ქვეყნის მყვლეფავები რომ აღმოჩნდნენ, მიუჩოჩდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს და ათასგვარი კორუფციული სქემებითა და „დამსახურებული“ პრემია-დანამატებით უკანასკნელ გროშამდე გამოხრეს. ამის შემყურე ხალხმა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, იფიქრა, ახლა ნამდვილად გვეშველება, ივანიშვილს იმდენი ქონება აქვს, ჩვენსას არაფერს წაიღებს, პირიქით, აქეთ მოგვეხმარება და არც სხვებს მისცემს უფლებას, სახელმწიფო სახსრებში ხელები აფათურონ. ასე კი ფიქრობდნენ, მაგრამ შეცდნენ. **ახლად გამინისტრებული მეოცნებენი ჯერ სკამებზეც არ მორგებულიყვნენ და უკვე პრემიების გამოწერაზე გადავიდნენ, იხარბეს, კანცელარიის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა 2012 წლის დეკემბერშივე პრემიის აღება რამდენჯერმე მოასწრო. ამის გამო თვით ღორმუცელა ნაცებიც კი გაკვირვებას ვერ მალავდნენ: ერთი შეხედეთ, ამ ხალხის მსახურებს, ჩვენ რომ გვადანაშაულებდნენ, ფული თავადაც რა მაგრა ჰყვარებიათო (!).**

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. მას შემდეგ, რაც ოცნებელმა ჩინოვნიკებმა პრემია-დანამატებს გემო გაუსინჯეს, იფიქრეს, ხელფასებთან შედარებით ეს უფრო მაწიერი ყოფილაო და ბიუჯეტში ხელები კიდევ უფრო ღრმად აფათურეს. მთავრობა აქეთ ქამრების შემოჭერაზე გვესაუბრება, იქით კი პრემია-დანამატების გაცემაში რეკორდებს ამყარებს და საყოველთაო გაჭირვებით გამოწვეულ დეპრესიას ამ ფორმით ებრძვის.

ხალხს როცა უჭირს, მთავრობა ფუფუნებაში არ უნდა ცხოვრობდეს!



ქვეყანაში სოციალური უსამართლობის შემხედვარემ შეიძლება, იფიქრო, ეს ადამიანები ხელისუფლებაში საქმის საკეთებლად, ქვეყნის ასაშენებლად და ხალხის საკეთილდღეოდ კი არა, იმისთვის მოდიან, რომ პირადი ცხოვრება მოიწყონ, ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი თანხები დაითრიონ და გარეთ გაუხედავად, სხვათა ჭირის გაუზიარებლად, უნამუსოდ ილაღონ.

გამოაგნებელ სურათს იძლევა პრემია-დანამატებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგი, რომელიც ამ დღეებში მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ გამოაქვეყნა. მისი მონაცემებით, **2016 წლის 11 თვეში ქვეყნის 22 სსიპ-ში (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) პრემია-დანამატის სახით გაცემულია 34.608.088 ლარი, საიდანაც 18.446.121 ლარი დანამატია, ხოლო 16.161.967 ლარი — პრემია.** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „მედიატორში“ საჯარო ინფორმაცია ჯერ ყველა სამინისტროდან არ შესულა, შეიძლება, ვივარაუდოთ, წინ დიდად შთამბეჭდავი სურათი გველოდება.

ამ „საჯილდაო“ საქმეში, ვფიქრობთ, თავად სამინისტროებიც არ შეირცხვენენ თავს, რომელთა შორის, სსიპ-ების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამარჯვებულის კვარცხლბეკს ფინანსთა სამინისტრო ალბათ არავის დაუთმობს. **ოქროს მედალსაც ალბათ ლოყებბუთქუნა ნოდარ ხადური დაეპატრონება, რომელიც წლების მანძილზე სახელმწიფო სახსრების ხელგაშლილად ხარჯვის დიდოსტატი გახლდათ და გაზრდილ პრემიებზე ლაპარაკი „ღია კარის მტვრევად“ მიაჩნდა. ვერ ვიტყვით, რომ ხადურის ქუმსიშვილით შეცვლით რაიმე არსებითი შეიცვალა ფინანსთა სამინისტროს საქმიანობაში, რომლის დაქვემდებარებაში მყოფ შემოსავლების სამსახურში 2016 წლის იანვარ-ნოემბერში მუშაკთა წასახალისებლად 26.176.860 ლარი გაიცა.**

პრემიერი კვირიკაშვილი, რომელიც აღაშფოთა ღამის კლუბებში ქართველ მამაკაცთა დისკრიმინაციის ცალკეულმა შემთხვევებმა, რატომღაც არავის ახსოვს ასევე აღეშფოთებინა ქართველ ჩინოვნიკთა პრემირებულ გაუმაძღრობას. თუმცა, გაუგებარია, რა სოციალურ სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ცესკოს თანამშრომლები ფულს ტომრებით ხვეტავენ (შარშან მარტო მისმა თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ პრემია-დანამატებიანად 197.308 ლარი აიღო), ხოლო შიმშილით მიხრწნილი პენსიონერი 180 ლარზეა ჩამოკიდებული, სადაც სახალხო დამცველი ნანუაშვილი ჰომოსექსუალთა ღირსებას დიდი ენთუზიაზმით უფრთხილდება, გაჭირვებული ხალხის სოციალურ პრობლემებს კი თვალს უხუჭავს.

ფინანსისტებთან შედარებით დაუჯერებლად „ხელმომჭირნენი“ აღმოჩნდნენ ენერგეტიკოსები, რომელთა სამინისტროში მხოლოდ გასულ დეკემბრის თვეში შრომის ანაზღაურებამ 264.040 ლარი შეადგინა. უწყებაში 88. 840 ლარის პრემია გაიცა და 72. 661 ლარის ოდენობის დანამატი. გამორჩეულად იხარბეს კახა კალაძის მოადგილეებმა, რომელთაც საახალწლოდ 24. 660 ლარის პრემია-დანამატი დაითრიეს.

სახელმწიფო ბიუჯეტის თავაუღებლად თქვლეფის მაგალითად გამოდგება თბილისის მერიისა და საკრებულოს მუშაკთა საქციელი. **აქ დახვეწილი მენეჯერობით სახელგანთქმული დავით ნარმანია თავის სამწყსოში პრემია-დანამატებით არა მარტო შტატიან მუშაკებს, უშტატოებსაც გულუხვად ანებივრებს. შარშანდელ 9 თვეში აქ მარტო შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებამ 1. 422. 616 ლარი შეადგინა, ხოლო პრემიამ — 172. 070 ლარი.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ მხოლოდ წინა წლის 9 თვის შედეგებია დათვლილი, ადვილი შესაძლებელია რომ 2015 წლის შტატგარეშეებზე გაცემული პრემია-დანამატების 2-მილიონიანი რეკორდი ამჯერად კიდევაც გაუმჯობესდეს.

დედაქალაქელ ჩინოვნიკთა წამხედურობით ბიუჯეტს თანხებს არანაკლები მოწადინებით სწუწნიან ქვეყნის რეგიონებში შემავალი მუნიციპალიტეტების უმაღლესი თანამდებობის პირები, რომლებიც პრეზიდენტ მარგველაშვილისა არ იყოს, დიდი სახელმწიფოებრივი საქმეებისგან განტვირთვის მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სავიზიტო მოღვაწეობით არიან დაკავებული. **ამ მხრივ გამორჩეულია ახმეტის რაიონის გამგებელი ბექა ბაიდაური, რომელიც კახეთის რეგიონის თანამდებობის პირთა შორის უპირობო „ლიდერია“. 2015-2016 წლებში იგი მივლინებით იმყოფებოდა ამერიკაში, ისრაელში, ავსტრიაში, პოლონეთში, ლატვიასა და ლიტვაში, რაზეც ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა,** მიღებული შედეგი კი საზოგადოებისთვის უცნობია. სამაგიეროდ, კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილია, რომ იმავე პერიოდში ბაიდაური ასევე იმყოფებოდა საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხეთსა და შვედეთში, ხოლო საახალწლოდ მეუღლესთან ერთად საბერძნეთში დაისვენა (!). აქ არ მინდა გავიმეორო ძველი ანდაზა (ძაღლი ქალაქს მიდიოდა...) რომელსაც ხალხი მიუსადაგებს ხოლმე ამ საქვეყნო საქმეებით გადაღლილ უსაქმურებს.

ასეთია ქვეყანაში სოციალური უსამართლობის სურათი, რომლის შემხედვარემ შეიძლება იფიქრო, ეს ადამიანები ხელისუფლებაში საქმის საკეთებლად, ქვეყნის ასაშენებლად და ხალხის საკეთილდღეოდ კი არა, იმისთვის მოდიან, რომ პირადი ცხოვრება მოიწყონ, ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი თანხები დაითრიონ და გარეთ გაუხედავად, სხვათა ჭირის გაუზიარებლად, უნამუსოდ ილაღონ. ფაქტია, დღეს ამათგან სინდის-ნამუსზე ფიქრით თავს აღარავინ იწუხებს, ეს დეფინიცია მთლიანად გადაყლაპა სიმდიდრისა და გაუმაძღრობის წყურვილმა, რასაც ჩვენი ზულუქა ჩინოვნიკები და პარლამენტარები ღიად და საჯაროდ ამზეურებენ. ადრე თუ ბიზნესმენის გადეპუტატება საკვირველი ამბავი იყო, ახლა პარლამენტი სავსეა ფულიანი ბიზნესმენებით. დღეს თუ ვინმემ ფული იშოვა, იმათგან ყველამ მთავრობასა და პარლამენტში დაივანა.

ვერაფერს იტყვი, საქართველოს მთავრობა, რომლის მაღალეფექტიან მოღვაწეობას მსოფლიოს საფინანსო ორგანიზაციები მაღალ შეფასებას აძლევენ, ასევე მაღალეფექტიანი მჭამელებით ამაყობს. ამის დასტურია ქვეყნის გაძვალტყავებული ეკონომიკა და მწირი ბიუჯეტი, რომლის თითქმის მესამედს — 2 მილიარდს ის საჯარო მოხელეების შენახვაზე ხარჯავს და ამაში ხელისუფლება საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, ვერც იმაში, რომ ქვეყნის ღატაკი მოსახლეობის ფონზე ჩინოვნიკთა ამოუვსები მადის პრემია-დანამატებით ამოყორვა პოლიტიკური უზნეობის ტოლფასია. **პრემიერი კვირიკაშვილი, რომელიც აღაშფოთა ღამის კლუბებში ქართველ მამაკაცთა დისკრიმინაციის ცალკეულმა შემთხვევებმა, რატომღაც არავის ახსოვს ასევე აღეშფოთებინა ქართველ ჩინოვნიკთა პრემირებულ გაუმაძღრობას. თუმცა, გაუგებარია, რა სოციალურ სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ცესკოს თანამშრომლები ფულს ტომრებით ხვეტავენ (შარშან მარტო მისმა თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ, პრემია-დანამატებიანად 197.308 ლარი აიღო), ხოლო შიმშილით მიხრწნილი პენსიონერი 180 ლარზეა ჩამოკიდებული, სადაც სახალხო დამცველი ნანუაშვილი ჰომოსექსუალთა ღირსებას დიდი ენთუზიაზმით უფრთხილდება, გაჭირვებული ხალხის სოციალურ პრობლემებს კი თვალს უხუჭავს.**

არადა, დიდი ფილოსოფია არ სჭირდება ანბანურ ჭეშმარიტებას: ხალხს როცა უჭირს, მთავრობას არა აქვს უფლება ფუფუნებით ცხოვრობდეს. ეს უკვე გაიცნობიერეს თვით არამზადა ნაცებმაც კი, რომლებიც ახლა ქოცებს იქით არიგებენ ჭკუას: ჩვენ თავის დროზე თქვენზე უკეთესი ეკონომიკა გვქონდა, მაგრამ ხალხმა არ გვაპატია, რომ ჩვენ უზომოდ გავძეხით და ისინი მშივრები დავტოვეთო. ვერ გეტყვით, რა გარანტია აქვთ ოცნებელებს, რომ ხალხი მათ ყველაფერს აპატიებს და თუ დასჭირდა ხელისუფლებიდანაც არ გაყრის?



ოთარ ხუციშვილი

გაყრაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხის არჩეული ხელისუფლება რომ პირველ რიგში ხალხზე უნდა ზრუნავდეს და მერე საკუთარ თავზე, ამ ჭეშმარიტებას ალბათ ნაცებთან ერთად ვერც „ქართული ოცნება“ გაექცევა.

არავის აქვს უფლება, ამბობდა მაჰათმა განდი, მაძღარი იყოს, თუ მის ქვეყანაში ერთი მშიერი მაინც დადისო...

დაუჯერეთ ჯონი ხეცურიანს, მის თანამოაზრეებს და თავი დაანებეთ უსაგნო ლაყაფს!

პარლამენტის ადგილსამყოფელის პოლიტიკური ბედი განსაზღვრულია, ქუთაისში მდებარე გამჭვირვალე შენობის მომავალი კი, ბუნდოვანი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისიდან თბილისში დაბრუნების თაობაზე თანხმდებიან, თუმცა გადაწყვეტილების აღსრულების კონკრეტული თარიღი უცნობია.

მმართველი გუნდი ირწმუნება, რომ უახლოეს პერიოდში პარლამენტის თბილისში გადატანა არ იგეგმება, თუმცა საქართველოს კონსტიტუციიდან შეესაძლოა, ის მუხლი ამოიღონ, რომელიც პარლამენტის ადგილსამყოფლად ქალაქ ქუთაისს განსაზღვრავს.

ქუთაისისთვის საპარლამენტო სტატუსის ჩამორთმევის წინააღმდეგნი ორად გაყოფილი „ნაციონალური მოძრაობა“ და საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატები არიან, რომელთა შორისაა პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენადი მარგველაშვილი. ის აცხადებს, რომ პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხს მხარს არ დაუჭერს და სანამ საკითხი კენჭისყრაზე დადგება, მანამდე აზრი ქუთაისელებს უნდა ჰკითხონ.

„პრემიერ-მინისტრის განწყობას ვიზიარებ, რომ ქუთაისი თბილისის საპირწონე უნდა იყოს არა მხოლოდ პოლიტიკური მიმართულებით, არამედ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის და ბიზნესის კეთების თვალსაზრისით. თანახმა ვარ, რომ პარლამენტი ქუთაისში დარჩეს“, – აცხადებს მარგველაშვილი.

თანაგუნდელის მსგავსად, პარლამენტის თბილისში სრულად დაბრუნების წინააღმდეგია ქუთისის კიდევ ერთი მაჟორიტარი დეპუტატი კობა ნარჩემაშვილი. როგორც ნარჩემაშვილმა განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი კენჭისყრაზე დადგება, ის ინიციატივას მხარს არ დაუჭერს.

დეპუტატის მოსაზრებით, სანამ ხელისუფლება ქალაქს ახალს და განსაკუთრებულს ვერ სთავაზობს, რომელიც მის კულტურულ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო ფუნქციას გაზრდის, მანამდე პარლამენტი ქუთაისში უნდა არსებობდეს.

„ის განწყობები, რომელსაც წინასაარჩევნო პერიოდში ქუთაისის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ვახმოვანებდი, როგორც ჩემი, ასევე ხელისუფლების განწყობა იყო და თანხვედრაში პრემიერ-მინისტრის განცხადებაც მოდიოდა. საპარლამენტო უმრავლესობაში საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა და პარლამენტის თბილისში დაბრუნების იდეას მხარს ქუთაისის დეპუტაცია არ დაუჭერს. ჩემი და ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატების, ასევე სხვების პოზიციაა, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს“, – დასძენს ნარჩემაშვილი.

ოპოზიციისგან განსხვავებით, პარლამენტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით მკვეთრ პოზიციას მმართველი გუნდი არ გამოხატავს. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის უმრავლესობამ პარლამენტის თბილისში გადმოტანის საკითხს მხარი დაუჭირა.

კანონმდებლის მტკიცებით, უახლოეს პერიოდში პარლამენტის გადმოტანა არ იგეგმება, თუმცა კომისიის წევრების აზრიც გასათვალისწინებელია.

„ჩვენ იმაზე პოზიცია არ დაგვიფიქსირებია, რომ პარლამენტის მაინცდამაინც თბილისში გადმოტანა უნდა მოხდეს. ამასთან დაკავშირებით, მსგავსი გადაწყვეტილება არ არის. აღნიშნულ საკითხზე ცხარე კამათი და მსჯელობა იქნება. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი კონსტიტუციით განსაზღვრული არ იყოს და კონსტიტუციიდან შესაბამისი მუხლის ამოღება უნდა მოხდეს“, – აღნიშნავს მდინარაძე.

კონსტიტუციიდან პარლამენტის ადგილსამყოფლის თაობაზე არსებული ჩანაწერის ამოღებაზე საუბრობს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი. როგორც for.ge-ს კახიანმა განუცხადა, სამუშაო ჯგუფის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს, რომ კონსტიტუციიდან ამოღებული იყოს პარლამენტის ადგილსამყოფლის პირდაპირი ჩანაწერი, ან პირდაპირ გაიწეროს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი არის თბილისში.

„ერთია ის, რომ კონსტიტუციიდან საერთოდ ამოვიღოთ ნორმა, რომელიც პარლამენტის ადგილსამყოფელს განსაზღვრავს და ადგილსამყოფლის საკითხი განისაზღვროს პარლამენტის რეგლამენტით. მეორე მოსაზრებაა ის, რომ პირდაპირ კონსტიტუციაში გაიწეროს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი. იყო ასეთი მოსაზრებაც, ხომ არ გაიწეროს კონსტიტუციაში, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქვეყნის დედაქალაქი“, – ამბობს კახიანი.

რაც შეეხება კონსტიტუციონალისტების პოზიციას, მათი ნაწილი პარლამენტის ქუთაისში არსებობის წინააღმდეგია, ისევე როგორც ამ ეტაპზე, ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების.

როგორც ჯონი ხეცურიანი მიიჩნევს, პარლამენტი თბილისში უნდა იყოს. მისი შეფასებით, მიზანშეწონილი და გამართლებულია, რომ პარლამენტი და მთავრობა ერთ ქალაქში იყვნენ, რადგან მათ ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ და აქეთ-იქით სიარული და ზედმეტი სახელმწიფო თანხების ხარჯვა, უბრალოდ, არ შეიძლება.

„ორპალატიანი პარლამენტის არსებობა კონსტიტუციითაა მოცემული, მაგრამ ის დაკავშირებულია გარკვეულ გარემოებებთან. მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, სახელმწიფო ტერიტორიების მოწყობის გადაწყვეტასთან და იურისდიქციის საკითხებთან. ორპალატიანი პარლამენტი ახლა რომ შემოიღო, რა პრობლემას წყვეტს გარდა იმისა, რომ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი გაჩნდება ხელისუფლების სისტემაში, რომელსაც შენახვაც უნდა და თავისი უფლებამოსილება გააჩნია?! ორპალატიანი პარლამენტი ან უნდა წყვეტდეს ტერიტორიულ საკითხს, ან შედეგი უნდა იყოს რაღაც დიდი პოლიტიკური პროცესების დამთავრების, ანუ ტერიტორიული მთლიანობა აღადგინე და გინდა, ტერიტორიული მთლიანობა ზედა პალატაში უზრუნველყო. არც ერთია და არც მეორე და რისთვის უნდა შემოიღო?!“, – ინტერესდება ჯონი ხეცურიანი.

საკითხზე საუბრისას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე განსაკუთრებულ ყურადღებას კონსტიტუციურ ჩანაწერზე აკეთებს და for.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ პარლამენტი დედაქალაქში უნდა იყოს.

უკვე მეოთხე წელია, რაც საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში საქმიანობს, თუმცა პარლამენტის ექსსპიკერის დავით უსუფაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ქუთაისში მდებარე გამჭვირვალე შენობაში პლენარული სხდომები ტარდება, თბილისში კი, საკომიტეტი მოსმენები. იმ შემთხვევაში თუკი, პარლამენტი დედაქალაქში სრულად დაბრუნდება, კითხვის ნიშნის ქვეშ ქუთაისში მდებარე შენობის მომავალი დადგება, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის ინიციატივით აშენდა და მას ფუნქცია ახალმა ხელისუფლებამ ამ დრომდე ვერ მოუძებნა. არაერთხელ ითქვა, რომ შენობაში ან საერთაშორისო ორგანიზაციების კავკასიის ბიურო განთავსდებოდა, ან იმერეთის ადმინისტრაციული სტრუქტურები. იდეები იდეებად რჩება და კონკრეტული პასუხი არ არსებობს კითხვაზე – თუკი პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდება, შენობას რა ბედი ეწევა?! იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობაში პარლამენტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, საკანონმდებლო ორგანოს თბილისში დაბრუნების მოწინააღმდეგეთა ნაწილში იდეა გაჩნდა, რომ გამჭვირვალე შენობა რეზიდენციად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შესთავაზონ. აღნიშნულ საკითხზე ხმამაღლა ჯერჯერობით არავინ საუბრობს, თუმცა უახლოეს მომავალში, შესაძლოა, იდეა ქუთაისის დეპუტაციამ გაახმოვანოს.

თეონა მანაგაძე

◎ დამაფიქრებელი სტატისტიკა

ახალგაზრდების უმრავლესობას თავის რჩენა არ შეუძლია

საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) ფინანსურად მშობლებზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ მათ არა აქვთ სრულფასოვანი სამსახური და მუშაობის შესაძლებლობა. ახალგაზრდების შემოსავალი მიზერულია. ეკონომიკის მამოძრავებელი სამუშაო რესურსი კი უქმად იკარგება.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევის – „თაობა გარდამავალ პერიოდში“ – თანახმად, ახალგაზრდების 27%-სთვის შემოსავლის წყაროს პირადი ანაზღაურება წარმოადგენს, მათ შორის, ხელფასი. გამოკითხულთა 14% აცხადებს, რომ მას პარტნიორი (მეუღლე, პარტნიორი გოგონა/ბიჭი) არჩენს. გამოკითხული ახალგაზრდების 8% აცხადებს, რომ მათ ფინანსურ შემოსავალს მშობლებისგან ან ნათესავებისგან მიღებული თანხა წარმოადგენს. 7%-ის თქმით, მისი შემოსავალი ოჯახის პენსიაა.

„ახალგაზრდების 20% მიმდინარე კრედიტს იხდის, რომლის საშუალო თვიური ხარჯი 190 ლარს შეადგენს. ასეთი ხარჯი განსაკუთრებით მაღალია თბილისის გარდა, სხვა ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტებისთვის. საშუალოდ, 110 ლარი თვეში მოგზაურობაზე მოდის, ხოლო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად და სიგარეტისთვის ყველა კატეგორიის ხარჯი თვეში 80 ლარია. ახალგაზრდები გართობაზე თვეში, საშუალოდ, 60 ლარს ხარჯავენ და ეს ხარჯი მოიცავს, როგორც კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას, ასევე მეგობრების შეკრებებსაც. მათი ყოველდღიური სატრანსპორტო ხარჯი თვეში დაახლოებით 55 ლარია.

სახლის გარეთ კვება თვეში, საშუალოდ, 42 ლარს შეადგენს. წიგნების შესაძენად, მობილურისა და სილამაზის სალონის ხარჯებისთვის ახალგაზრდები თავიანთი ბიუჯეტის ყველაზე მცირე წილს ხარჯავენ“, – ნათქვამია კვლევაში.

შედარებით მაღალი შემოსავლიდან გამომდინარე, ტრანსპორტზე, გართობაზე, გარეთ ჭამასა და სიგარეტზე ახალგაზრდა მამაკაცები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ქალები.

კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების 70% თავის მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მშობლებზე დამოკიდებულების ხარისხი, ასაკის ზრდასთან ერთად იკლებს. 14-18 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების 90% ცხოვრობს მშობლებთან ერთად. საშუალო ასაკობრივ კატეგორიაში (19-24 წელი), ეს მაჩვენებელი 67%-ია, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების მხოლოდ 52% ცხოვრობს მშობლებთან ერთად

რასაკვირველია, ახალგაზრდების ხელმოკლეობის მიზეზი უმუშევრობაა. ქვეყანაში ეს პრობლემა მრავალის წლის განმავლობაში მოუგვარებელია და სოციალურ საკითხთაგან ყველაზე დაუძლეველიც. ამას დეპუტატი გუგული მაღრაძეც არ უარყოფს, რომელიც ადასტურებს, რომ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც

მისი თქმით, ამ ვითარების გასაუმჯობესებლად ხელისუფლება გარკვეულ ნაბიჯებს დგამს. კერძოდ, დაწყებულია ახალგაზრდებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიების შესასწავლად ფართო პროგრამის განხორციელება, ხდება პროფესიული განათლების ქსელის განახლება და გაფართოება და მათი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა. ჯერჯერობით ამ ნაბიჯებს სათანადო შედეგი არ მოჰყვება.

საქართველოში უმუშევრების მესამედზე მეტი ახალგაზრდებზე მოდის. 20-დან 29 წლამდე ახალგაზრდები უმუშევართა დიდ არმიას ქმნიან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, **2015 წელს საქართველოში 242 000 უმუშევარი იყო, რაც სამუშაო ძალის (მუშაობის უნარისა და სურვილის მქონე 15 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა) 12%-ს შეადგენდა. „საქსტატი“ უმუშევართა რაოდენობას ასაკობრივ ჭრილშიც აქვეყნებს. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე (32%) 20-24 წლის ასაკის მოსახლეობაშია, შემდეგ 15-19 (26.2%) და 25-29 (20.7%) წლის ასაკის მოსახლეობა მოდის.**

საქართველოში დასაქმებულთა 58% თვითდასაქმებულია (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, ტაქსის მძღოლები, რეპეტიტორები, გარევაჭრობით დაკავებულები და სხვა). 20-დან 39 წლამდე მოსახლეობაში დაქირავებით დასაქმებული უფრო მეტია, ვიდრე თვითდასაქმებული, ხოლო 40 წლიდან სიტუაცია იცვლება და თვითდასაქმებულთა წილი იზრდება. თვითდასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი 65 წელს და ზემოთ ასაკის მოსახლეობაშია.

ბექა დანელია

მეტი ჟანგბადი ქალაქს!

ელექტრომობილის შეძენისას დაახლოებით 80-პროცენტიან ეკონომიას ვილებთ

2017 წელს საქართველოს მასშტაბით ელექტრომობილების დასამუხტი 100-მდე სადგურის განთავსება იგეგმება. მათი უმეტესობა თბილისში იქნება. აღნიშნული პროექტ „მეტი ჟანგბადი ქალაქს“ ფარგლებში ხორციელდება. პირველი სადგურები თბილისში ევროპის მოედანსა და კუს ტბის ასახვევთან უკვე გაიხსნა. შემდეგ კი ვარდების მოედანზე სასტუმრო „რედისონთან“ განთავსდა. 2017 წლის ბოლომდე სადგურები მომხმარებელს უფასოდ მოემსახურება.

ელექტრომობილის დასამუხტი მოწყობილობები ავსტრიული წარმოებისაა. უკვე ცნობილია, რომ მერია დასამუხტი სადგურებისთვის დენის მიწოდების ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს. გარდა ამისა, თბილისის მერია ელექტრომობილების მფლობელებს პარკირების საფასურის გადასახადისგან გათავისუფლებას სთავაზობს. სურვილის შემთხვევაში, ელექტროძრავიან ავტომობილთა მესაკუთრეებმა თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს განცხადებით უნდა მიმართონ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ქსეროასლი წარადგინონ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მერიის შესაბამისი სამსახური აღნიშნულ მონაცემებს „სითი-პარკს“ გადასცემს და მძღოლები საფასურს აღარ გადაიხდიან. როგორც მერიაში მიიჩნევენ, ელექტრომობილთა პარკირების საფასურისგან გათავისუფლება ეკოლოგიურად სუფთა ავტოტრანსპორტის იმპორტს წაახალისებს.

მერიისავე ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით ამ დროისთვის 50-მდე ელექტრომობილი მოძრაობს. მათ შემოყვანას ხელს უწყობს ისიც, რომ ელექტრომობილების იმპორტი გადასახადებისგან საქართველოში თავისუფალია.

რამდენად მზარდია ელექტრომობილების შეძენა საქართველოში, ამის შესახებ პლატფორმა „ჰაბ ჯორჯიას“ აღმასრულებელ დირექტორს ვასილ ურუშაძეს თავისებური პოზიცია აქვს.

ᲛᲘᲡᲘ თქმით, ჩვენში ელექტრომობილების განვითარების ხელშეწყობა საკმაოდ სუსტია. ეს არის პიარი თბილისის მერიის მხრიდან და რეალურად აღნიშნული ინიციატივა უფრო კერძო სექტორიდან მოდის. საუბარია იმაზე, რომ დასამუხტი ინფრასტრუქტურა, რომელიც თბილისში ინერგება, კერძო სექტორის ინიცირებულია. უბრალოდ, კარგია, რომ თბილისის მერია ხელს არ უშლის ამ პროცესს და ელექტროენერგიის დანახარჯებს საკუთარ თავზე იღებს; ანუ ელექტროენერგიის წყაროს უსასყიდლოდ მიაწვდის მძღოლებს, მაგრამ ბევრად უფრო ძლიერი პოლიტიკა აქვთ განვითარებულ ქვეყნებს ელექტრომობილების განვითარების კუთხით. მაგალითად, ლონდონის მერია ელექტრომობილის ღირებულების 5%-ს უკან ურიცხავს ბრიტანეთის იმ მოქალაქეს, რომელიც შეიძენს ელექტრომობილს და ეს ამ სატრანსპორტო საშუალების შეძენის წასახალისებლად კეთდება.

„ჩვენში რატომღაც ფიქრობენ, რომ ელექტრომობილების შესყიდვა იმდენად ძვირადღირებულია, რომ მისი შეძენა არ ღირს. შეცდომაა, როცა ავტომობილის შეძენისას ყურადღებას ვამახვილებთ ავტომობილის თვითღირებულებაზე. სამწუხაროდ, საქართველოში ძირითადი აქცენტი იმაზე კეთდება, რა ღირს ავტომობილი. ამ დროს რეალურად ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ, ჯამურად რა გვიჯდება ეს ავტომობილი ექსპლუატაციის განმავლობაში.

მაგალითად, ვყიდულობთ ათი ათას აშშ დოლარიან ავტომობილს, რომელიც გვსურს, სამი წლით გვემსახუროს და დღეში გარკვეული რაოდენობის კილომეტრით გადავაადგილდებით. ყოველ ას კილომეტრზე მას სჭირდება გარკვეული რაოდენობის ბენზინი, დამატებითი საწვავ-საპოხი მასალების შეცვლა, სხვა დანახარჯები. ამიტომ დავითვალოთ, სამ წელზე რა დაგვიჯდება ავტომობილის შენახვა. შემდეგ ავიღოთ ელექტრომობილი. მართალია, ბევრად მეტს ვიხდით ელექტრომობილის პირველადი შეძენის დროს, მაგრამ, როცა დავითვლით სამწლიან პერიოდზე, ვნახავთ, რომ დაახლოებით 80%-ის ეკონომიას ვიღებთ. თუ ათი ლიტრი ბენზინი ჭირდება საშუალო ავტომობილის სიმძლავრის გაწევას, ათი ლიტრი ბენზინი უკვე ოც ლარს აღემატება. ეს არის 20 ლარი ას კილომეტრზე, ამ დროს ელექტრომობილს სახლში ვმუხტავთ და სულ რაღაც სამი ლარის ელექტროენერგიით გავდივართ ას კილომეტრს, — აცხადებს ვასილ ურუშაძე.

მისივე თქმით, ელექტრომობილის დამუხტვა შესაძლებელია ელექტროენერგიის ნებისმიერ წყაროში, ეს იქნება ჩვენი ავტოფარეხი თუ სხვა ნებისმიერი ადგილი, სადაც კი არის შესაბამისი საშუალება. თუმცა ინფრასტრუქტურულად რთულია, რომ ხელმისაწვდომი იყოს პარკინგზე დასამუხტი საშუალება.

თუ რამდენად მსყიდველუნარიანია ჩვენი მოსახლეობა, რომ შეიძინოს ელექტრომობილი, ამასთან დაკავშირებით „ჰაბ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორი სამი წლის წინანდელ პერიოდს იხსენებს, როცა საქართველოში ჰიბრიდულ ავტომობილს არავინ ყიდულობდა. ჩვენს ხალხში შიში არსებობდა, რომ ჰიბრიდული ავტომობილი შესაძლოა, მწყობრიდან გამოსულიყო და საქართველოში არ გვქონდა შესაბამისი ტექნიკური სერვისი მათი რემონტისთვის. თუმცა უკვე ყველა ვხედავთ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული მანქანების იმპორტის 40-50 % უკვე ჰიბრიდულ ავტომობილებზე მოდის და ქალაქში ყოველი მეათე ავტომობილი შეიძლება იყოს ჰიბრიდული.

„ეს პროცესი 2011 წელს დაიწყო. გვახსოვს, მაშინდელი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დადიოდა ელექტრომობილით. თუმცა შემდეგ ეს პროცესი რატომღაც შენელდა და მთავრობის მხრიდან ამ მიმართულებით მესიჯები არ ყოფილა. ერთადერთი, ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურად მუშაობს ბიზნესსექტორი. კერძო სექტორი უფრო მეტად არის დაინტერესებული ელექტრომობილების განვითარებით, ვიდრე სახელმწიფო, არადა, პირიქით უნდა ხდებოდეს. ეკოლოგიური თვალსაზრისით, სახელმწიფოსგან უნდა მოდიოდეს ისეთი ინტერესი, რომ საქართველოში განვითარდეს ელექტრომობილები. მათი განვადებით შეძენაც კი მომგებიანია, ნებისმიერ პირს შეუძლია ამის გათვლა. მაგალითად, შს სამინისტრომ პოლიციის ავტომობილებად ფორდის მარკის „ინტერსეპტორები“ ისე შეიძინა, რომ გათვლილი არ ჰქონდა მათი ექსპლუატაციის ხარჯები. საბოლოო ჯამში, ისეთი უკუეფექტი მიიღო, რომ ახლა ჩანაცვლებაზე ფიქრობენ და ცდილობენ, „ფორდის“ ავტომობილები ისევ „შკოდებით“ ჩაანაცვლონ“.

ექსპერტის თქმით, ცხადია, შს სამინისტროს ელექტრომობილები არ გამოადგება. საპატრულო პოლიციისა და ექსტრემალური სამსახურებისთვის ცუდი იმიტომ არის ელექტრომობილი, რომ ამ ავტომობილებს არა აქვთ მოცდენის რეჟიმი, ანუ საპატრულო პოლიციის ავტომობილი არ ჩერდება, იცვლება მხოლოდ თანამშრომელი, ხდება ცვლის გადაბარება, მაგრამ ეს ავტომობილი მუდმივად ექსპლუატაციაშია. ელექტრომობილს კი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დამუხტვა სჭირდება. თანაც, დატენვის პერიოდი განსხვავებულია და ავტომობილის კატეგორიაზეა დამოკიდებული. ყველა ავტომობილს განსხვავებული ტექნიკური მახასიათებელი გაჩნია. სრულად დამუხტვა 1-დან 3 საათამდე გრძელდება, ნახევრად დამუხტვისთვის კი ნახევარი საათიც საკმარისია. ამდენად, თუკი ინფრასტრუქტურაც განვითარდება და სპეციალურ პარკირების ადგილებს გამოუყოფენ ელექტრომობილებს, ბევრად უფრო კომფორტული იქნება, მეტ ეკონომიას, მეტ კომფორტს მივიღებთ და, ასევე, ვიზრუნებთ ჩვენს გარემოსა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

„თუმცა ფეხმოგრეხილი ვარ, ყველა ხილის ხელმწიფე ვარ!“

ახალი პროგრამა მევენახეთათვის

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ახალი პროგრამა „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა“ დაიწყო.

მთავრობის ინფორმაციით, პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ, არა მხოლოდ ყურძნის, არამედ უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ სარგებელი. სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილია შემდეგი პირობები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ანდა მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 20 ჰ ექტარი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: **რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთული, წულუკიძის (რაჭული) თეთრა.**

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა საპილოტე პროექტია, რომლის ფარგლებშიც გაიცემა არანაკლებ 3 ერთეული საწარმოსთვის საჭირო აღჭურვილობა. პროექტის ბიუჯეტი 1 მილიონ ლარს შეადგენს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მევენახობის მიმართულებით 40 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი საქმიანობს, რომლებშიც გაერთიანებულია 250 მეპაიე, მათ საკუთრებაში არსებული ვენახი კი 316 ჰა -ს შეადგენს.

ზოგადად, საქართველოში ვენახები 37 419 ჰექტარზეა გაშენებული (2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით), მათ შორის, კახეთში 22 227 ჰექტარი ვენახია. 2013-2014 წლებში საქართველოში 5 000 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა (4 700 ჰექტარი კახეთში). სპეციალისტების განმარტებით, ვენახების გაშენება ბოლო წლების (2013, 2014) წარმატებულმა რთველმა და ჩაბარებული ყურძნიდან მიღებულმა მაღალმა შემოსავლებმა განაპირობა.



საქსტატის ინფორმაციით, ყურძნის ყველაზე მაღალი მოსავალი, 2007 წლის შემდეგ (227 000 ტონა), 2014 წელს დაფიქსირდა (224 000 ტონა). 2007-2015 წლებში ყურძნის მთლიან მოსავალში კახეთის წილი 51-71 %-ია.

შეგახსენებთ, რომ მევენახეებისთვის ერთ-ერთი მსხვილი პროგრამა ეგრეთ წოდებული რთვლის სუბსიდირების პროგრამაა. წლების მანძილზე ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი რესურსები იხარჯება, კერძოდ: **2016 წელს საქართველოში 117 777 ტონა ყურძენი მოვიდა. 2016 წლის რთვლის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე განისაზღვრა 45 თეთრით, 1 კგ საფერავზე - 20 თეთრით, 1 კგ ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე — 2 ლარით.** 2016 წლის რთვლის ფარგლებში, ყურძენს 100-ზე მეტი ღვინის საწარმო ჩაიბარებს. გასული წლის მსგავსად, სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე. ამ მიზნისთვის 2016 წლის ბიუჯეტში 40 მილიონი ლარი იყო ჩადებული. ამ თანხების რეალურ ეფექტიანობაზე ექსპერტებში მუდმივად ისმება კითხვები. ბევრის აზრით, სუბსიდირება უფრო სოციალური პროექტია, ვიდრე ეკონომიკური. ამასთან, ამ ბოლო დროს პრობლემა შეიქმნა ყურძენზე მოთხოვნასთან დაკავშირებით — 2015 წლის განმავლობაში ტრადიციულ ბაზრებზე ღვინოზე მოთხოვნის შემცირების გამო საქართველოს მეღვინეებს ღვინის მარაგები დაუგროვდათ, რამაც ყურძენზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია.

მსგავსი პრობლემის მოგვარების მცდელობაა კოოპერატივების ის პროექტი, რომელსაც ხელისუფლება ამჟამად აანონსებს და რომელიც, იდეაში, ფერმერების მიერ ღვინის საკუთარი ძალებით წარმოებას გულისხმობს. როგორც წესი, მსგავსი პროექტები ეკონომიკურად უფრო გამართლებული შეიძლება იყოს, ვიდრე სუბსიდირების პროექტებია. მათ ნაწილზე — მაგალითად, საზაფხულო ნათესების მოხვნაზე — ხელისუფლებამ 2017 წელს უკვე თქვა უარი, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაფინანსების შემცირება ისეთ პროექტებს შეეხოს, როგორიც რთვლის სუბსიდირებაა, ზუსტად მისი სოციალური ხასიათის გამო.

ᲜᲘᲜᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ

ესეც მეოთხე და ოთხწიგნეულის გვირგვინი



ის, რაც სახელმწიფოებრივად უნდა მოგვარებულიყო, **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ** ითავა და კიდეც წარმატებით მიიყვანა ბოლომდე **„ჩვენი მწერლობის“** გამომცემლობის მეოხებით.

რუსთველოლოგთაგან ყველაზე ნაყოფიერი მკვლევარის პავლე ინგოროყვას ოთხტომეული, მომცველი უამრავი პრობლემისა და საკითხის, უამრავი თემისა და შენაკადის, ქართული რენესანსის ეპოქა ხელისგულზე რომ დაგვიდო და მთელი სიგრძე-სიგანითაც განგვაცდევინა.

რუსთველოლოგიურ თხზულებათა ამ ოთხწიგნეულითა და მისი განხილვების ციკლით (თბილისში: **საქართველოს საპატრიარქოს, გრიგოლ ფერაძისა** და **სოხუმის უნივერსიტეტები, თელავში: სასწავლო უნივერსიტეტი**...) **ყველაზე თვალსაჩინოდ აღინიშნა შოთა რუსთველის დაბადების 850 წლისთავი.**

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას **კარლო ფაჩულიას** დახვეწილი გაფორმება.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას ქუთაისის სტამბა **„ხომლი ენ“**-ისა და მისი დირექტორის **ელგუჯა თაავბერიძის** წვლილი, რათა ეს ოთხწიგნეული მისთვის საკადრისი პოლიგრაფიული დონითაც დამშვენებულიყო.

მეოთხე ტომში შესულია „ვეფხისტყაოსნის“ **კრიტიკულად აღდგენილი დედანი და ნარკვევებისა და წერილების მთელი ციკლი დისკუსიური ყაიდისა**, რომელსაც უძღვის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების მეცნიერთანამშრომლის, ფილოლოგიის დოქტორის **ლია კარიჭაშვილის** შესავალი წერილი, რომელშიც პროფესიულადაა განხილული პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ დაკვირვებათა და მიგნებათა ზოგადი არსიც და ცალკეული თავისებურებანიც.

* * *

„მედიანიუსის“ ჟურნალისტთან საუბრისას **ლია კარიჭაშვილმა** არამარტო მისი მონაწილეობით მომზადებული ეს მეოთხე წიგნი შეაფასა, არამედ პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა ოთხტომეულის გამოცემის მნიშვნელობაც:

„პავლე **ინგოროყვას** რუსთველოლოგიურ თხზულებათა IV ტომი აგვირგვინებს მეცნიერის ნაშრომებს: **„რუსთველიანა“, „რუსთველიანას ეპილოგი“,** მონოგრაფია **„შოთა რუსთაველი“,** და თავისი შინაარსით უაღრესად საყურადღებოა. იგი წარმოგვიდგენს **„ვეფხისტყაოსნის“** 1970 წლის გამოცემის ტექსტს პავლე ინგოროყვას რედაქციით; ტექსტოლოგიურ ნარკვევს **„ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლოთქმა“,** და **„რუსთველიანასა“** და უშუალოდ **„ვეფხისტყაოსნის“ ინგოროყვასეულ გამოცემასთან დაკავშირებულ პოლემიკურ წერილებს.**

პავლე ინგოროყვამ ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, 1953 და 1970 წლებში. მეორე გამოცემაში, განსხვავებით პირველისგან, სტროფთა რაოდენობა შემცირებულია და პროლოგ-ეპილოგის ჩათვლით 1528 სტროფს შეადგენს. პოემის ტექსტი 33 თავად არის წარმოდგენილი. აღნიშნული გამოცემები, ცხადია, ასახავს რედაქტორის დამოკიდებულებას ფუნდამენტური რუსთველოლოგიური პრობლემატიკისადმი: პოემის ტექსტის შედგენილობა, პროლოგ-ეპილოგის საკითხი, ამა თუ იმ სადავო ტაეპის წაკითხვა და სხვა. მკვლევარი შეეცადა ინტერპოლაციებისაგან თავისუფალი და დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული ტექსტი წარმოედგინა. ტექსტოლოგიურ ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლოთქმა“ პავლე ინგოროყვა განიხილავს ყველა იმ რედაქციულ ცვლილებას, რომლებიც შეიტანა ტექსტში და მიუთითებს, რის საფუძველზე განახორციელა თითოეული მათგანი. მისი მიზანია მკითხველს თვალსაჩინოდ დაუხატოს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის ჩამოყალიბების დინამიკა, ინტერპოლაციების გაჩენის დრო და მოტივები.

„რუსთველიანა“ — უდიდესი შრომის, მრავალწლიან ძიებათა ნაყოფი — იყო XX საუკუნის არამხოლოდ სამეცნიერო, არამედ სრულიად ქართული საზოგადოებისთვის მოულოდნელი აღმოჩენებით აღსავსე წიგნი, რომელიც დაუჯერებელი სიცხადით ააშკარავებდა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ ისტორიულ რეალიებს. და ამ „დაუჯერებელ სიცხადეში“ მკვლევრის ღრმა ერუდიციასთან ერთად ჩანდა დიდი სიმამაცეც და ერთგვარი რისკიც... რამდენად „აიტანდა“ ქართული პოეტური კულტურის იდეად და სიმბოლოდ ქცეული რუსთაველის ხატება ასე ხელშესახებად კონკრეტული ისტორიული პირის „ჩარჩოებში მოქცევას“ — შოთა ჰერეთის ერისთავად „განხორციელებას“. „რუსთველიანას“ კრიტიკულ რეცენზიათა და გამოხმაურებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ კორიფის შეფასება იყო. **კორნელი კეკელიძისა** და პავლე ინგოროყვას პოლემიკური დიალოგი ორი ბუმბერაზის შერკინებას ჰგავს, დაძაბული ელოდები, როგორ გამოსცდის „მობურთალსა მოედანი ...“

კორნელი კეკელიძე თანმიმდევრულად განიხილავს „რუსთველიანას“ პრობლემატიკას: „ვეფხისტყაოსნის“ თარიღი, ვახტანგის გამოცემა, დანართი პლასტები, პოემის დაწერის დრო, ავტორის ვინაობა, პოეტის რუსთველობა, მისი ცხოვრების თარიღები, საქართველოდან გაძევება, პოეტის „ქებანი“, მანიქეიზმი „ვეფხისტყაოსანში“, პოეტი მანიქეველი და „კუპარი“, „რინდნი მანნი“ საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ კორნელი კეკელიძის კრიტიკული შეფასებანი „რუსთველიანას“ ძირითადი დებულებებისა გარკვეულწილად განპირობებულია ერთი საკვანძო საკითხისადმი მკვლევართა განსხვავებული პოზიციით. „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ტიპის განსაზღვრა ერთგვარი წანამძღვარია რიგი რუსთველოლოგიური საკითხებისა. იყო ეს უცვლელად დაბეჭდილი რომელიმე ხელნაწერი თუ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი? პავლე ინგოროყვა, დავით კარიჭაშვილი და იუსტინე აბულაძე ფიქრობდნენ, რომ 1712 წელს დაიბეჭდა ვახტანგ მეფისა და სწავლულ კაცთა კომისიის მიერ პოემის ყველაზე უფრო სანდოდ მიჩნეული ხელნაწერი, ხოლო მკვლევართა მეორე ჯგუფი — აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე და სარგის ცაიშვილი — ამ გამოცემას კრიტიკულ რედაქციულ ტექსტად მიიჩნევდა.

პავლე ინგოროყვას პასუხი, **„რუსთველიანაზე პროფესორ კეკელიძის წერილის გამო“,** კიდევ ერთხელ ცხადყოფს მკვლევრის არაჩვეულებრივ უნარებს, ფაქტოლოგიის საუკეთესო ცოდნასა და ანალიტიკოსის უდიდეს ნიჭს. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ოპონენტის შენიშვნებს და ცდილობს მეტი სიცხადით დაასაბუთოს „რუსთველიანას“ მთავარი თეზისები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის, შოთა რუსთაველის ვინაობის, ბიოგრაფიული ეპიზოდების, პოეტის მსოფლმხედველობისა და „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ.



მისივე თანამედროვე ქართველ მწერალთაგან პავლე ინგოროყვას კვლევები ყველაზე მეტად **ვასილ ბარნოვისთვის** იქნებოდა საყურადღებო, მით უფრო შოთა რუსთაველის ვინაობის საკითხი. **მერაბ ღაღანიძის წერილი „ვასილ ბარნოვი რუსთველიანას წინააღმდეგ“** სწორედ ამ ინტერესს ცხადყოფს. მწერალი უდავოდ იცნობდა პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას“, რომელიც 1926 წელს გამოიცა, იცნობდა აგრეთვე 1927 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილ რეცენზიებსა და გამოხმაურებებს „რუსთველიანაზე“.

რომანში **„თამარ მრწემი“** ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი მწერალს არც რუსთავის პატრონად გამოჰყავს და არც „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელად; „კუპრს“ განმარტავს, როგორც შავი ფერის მქონეს, შავგვრემანს. ეს ყოველივე, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ ვასილ ბარნოვი არ იზიარებდა პავლე ინგოროყვას კონცეფციას. თუმცა სხვა ვითარებაა რომანის გამოუქვეყნებელ ვერსიებში, რომლებშიც, როგორც მერაბ ღაღანიძე შენიშნავს, „მკაფიოდ ასახულა, თუ როგორ ჭოჭმანობს მწერალი ამ საკითხის გამო“. ხელნაწერთა მონაცემები ვარიანტულია, შოთა პირდაპირ სახელდებულია რუსთველად, რუსთავის ბატონ-პატრონად ან რუსთავის თავადად. ეს „რუსთველიანას“ უშუალო გამოძახილია.

სწორედ რომანის გამოუქვეყნებელი ვარიანტის მონაცემები აღმოჩნდა **როსტომ ჩხეიძისთვის** საყურადღებო. მერაბ ღაღანიძის ნარკვევის გამოხმაურებაა მისი წერილი **„ოჰ, ეს ვარიანტული სახესხვაობანი“.** მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია, რომ „თამარ მრწემის“ გამოუქვეყნებელ ვერსიებში შოთა ჰერეთის ერისთავი რუსთავის მთავრად არის წარმოდგენილი, აქედან კი მისი წოდება „რუსთველობა“ მომდინარეობს. როგორც ჩანს, პავლე ინგოროყვას კონცეფცია მწერლისთვის თავდაპირველად მისაღები და დამაჯერებელი ყოფილა, ვიდრე გარკვეულ ფაქტორთა გამო პოზიციას შეიცვლიდა.

პოლემიკურ წერილებს შორის წიგნში შესულია **კონსტანტინე ჭიჭინაძის** სარეცენზიო წერილი **„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო“.** ავტორი პოემის პავლე ინგოროყვასეულ გამოცემას განიხილავს, ზოგადად, დადებითად აფასებს მას, თუმცა რამდენიმე ტაეპის წაკითხვას არ ეთანხმება.

საპასუხო წერილში **„ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო“** პავლე ინგოროყვა განმარტავს თითოეული ცვლილების ტექსტოლოგიურ საფუძველს. შესავალ წერილში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რამდენად გაიზიარა პოემის შემდგომმა გამოცემებმა წაკითხვის ის ვარიანტები, რომლებიც პავლე ინგოროყვამ ავთენტურად ცნო.

რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავის იუბილეს მიძღვნილი პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანია და სიმბოლური.

მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ პავლე ინგოროყვას ღვაწლი მთელ ეტაპს ქმნის რუსთველოლოგიური აზრის განვითარების ისტორიაში, ამდიდრებს და აშინაარსებს მას;

სიმბოლურია იმდენად, რამდენადაც სწორედ პავლე ინგოროყვას კვლევის შედეგებს დაემყარა მსოფლიო მასშტაბით აღნიშნული რუსთაველის 800 წლისთავის იუბილე 1966 წელს, და ახლა, დიდი პოეტის დაბადებიდან 850 წლისთავთან დაკავშირებით, რედაქტორის **როსტომ ჩხეიძისა** და გამომცემლის **დავით გალეგაშვილის** ერთობლივი ძალისხმევით **კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თანამედროვეობას პავლე ინგოროყვა, ისევ გვაოცებს მისი მონუმენტური ნააზრევი, კვლევის სიღრმე და მრავალმხრივობა, მეცნიერებას შერწყმული შემოქმედება, გამბედაობა და საოცარი შინაგანი თავისუფლება.**

რუსუდან ქოჩულაძე
მედიანიუსი

აჭარა სტამბოლის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა სტამბოლის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „EMITT 2017“ მიიღო მონაწილეობა. დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პოტენციალი გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ კომპანიებთან ერთად წარადგინა. გამოფენის ვიზიტორები სტენდთან აჭარის ტურისტული პროდუქტებისა და შესაძლებლობების შესახებ მომზადებულ სარეკლამო-საინფორმაციო მასალებს გაეცნენ და დეპარტამენტის წარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს რეგიონის შესახებ.

სტამბოლის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს სტენდმა გასული წლის მსგავსად წელსაც ყველაზე ორგანიზებული სტენდის ჯილდო მიიღო. გამოფენა „EMITT 2017“ მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული გამოფენაა, რომელშიც მონაწილეობას 450-მდე კომპანია მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნიდან მონაწილეობს. გამოფენა ხალხმრავლობითა და მონაწილეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი გამოფენაში 2007 წლიდან ღებულობს მონაწილეობას.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის ტურისტულ პოტენციალს წლის ბოლომდე 20-მდე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე წარადგენს.

აპირებს თუ არა ტრამპი რუსეთისადმი საქართველოს „ჩაბარებას“

„რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს“ („საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“) მიერ 29 იანვარს ეთერში გადაცემულ საქართველოს ამბების მიმოხილვის დროს კორესპონდენტი შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის სავარაუდო პოლიტიკას შეეხო საქართველოსთან დაკავშირებით.

„თუ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნამდვილად დაიწყებს თავისი წინასაარჩევნო საგარეოპოლიტიკური პროგრამის შესრულებას რუსეთთან ურთიერთობის საკითხში, მაშინ არსებობს იმის რისკი, რომ საქართველო რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გადაიქცეს“, — ასე დაწერა ქართველმა პოლიტოლოგმა ნიკა იმნაიშვილმა დონალდ ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თავის სტატიაში შთამბეჭდავი სათაურით — „აშშ-ის პრეზიდენტი გახდა ის, ვინც ვლადიმირ პუტინს სურდა“.

საქართველოს ხელისუფლება არ იზიარებს საზოგადოების ნაწილში დამკვიდრებულ „ალარმისტულ“ (პანიკურ) განწყობებს: მისალოც განცხადებებში პრეზიდენტმაც და პრემიერ-მინისტრმაც მტკიცე რწმენა გამოხატეს, რომ ვაშინგტონსა და თბილისს შორის ურთიერთობა მომავალშიც „სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის“ საფუძველზე განვითარდება.

„რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს“ კორესპონდენტთან საუბარში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თედო ჯაფარიძე, რომელიც წლების განმავლობაში იყო საქართველოს ელჩი აშშ-ში, აცხადებს: **„ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას რუსულ კონტექსტში განიხილავდა, ჩვენ კი ყოველთვის გვსურდა, რომ საქართველო ამერიკის სტრატეგიის ნაწილი ყოფილიყო. იმიტომ, რომ თბილისი აშშ-ის ერთგული მოკავშირეა და უფრო იმიტომაც, რომ საქართველო როგორც რეგიონის ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო, აშშ-სთვის საჭირო ქვეყანაა“.**

გამოცდილი დიპლომატის განცხადება იმას მოწმობს, რომ თბილისი ბევრს ელოდებოდა პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მისი გუნდისაგან. აბა, განა რას უნდა ელოდოს თბილისი აშშ-ის იმ პრეზიდენტისაგან, რომელმაც არაერთხელ მიანიშნა იმაზე, რომ მზადაა გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები „ახლო საზღვარგარეთში“?

როგორც ჩანს, აშშ-ის საელჩოში იგრძნეს ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობები და ელჩ იან კელის განცხადებამაც არ დააყოვნა. მან ხაზი გაუსვა, რომ თეთრი სახლის პოლიტიკა საქართველოს მიმართ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროსაც არ შეიცვლება. ელჩმა გაიხსენა კონგრესის რეზოლუციები საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, სენატორების მიერ გაკეთებული განცხადებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ და ა.შ. მოკლედ, გული არ გაიტეხოთ, დახმარება გაგრძელდებაო.

„Radio France Internationale“(საფრანგეთი):
მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“

ბრიტანელები აშშ-ის ტერიტორიაზე თავისუფლად შევლენ

დონალდ ტრამპის მიერ დაწესებული შეზღუდვები ბრიტანეთის მოქალაქეებს არ შეეხება. ამის შესახებ ფორინ ოფისი იტყობინება. ბრიტანეთის საგარეო უწყების განცხადებით, 120 დღით შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მხოლოდ ერაყის, ირანის, იემენის, ლიბიის, სირიის, სომალისა და სუდანის მოქალაქეების შესვლა შეჩერდა. 3 თვის განმავლობაში კი ამერიკის ხელისუფლება იმის დადგენას შეცდება, ეფექტურად მუშაობს თუ არა მოქმედი წესები. ამასთან, შეერთებული შტატები 2017 ფინანსურ წელს 50 ათასამდე ლტოლვილის მიღებას აპირებს. პრიორიტეტები რელიგიური ნიშნით დევნილებს მიენიჭებათ.რაც შეეხება ბრიტანეთის მოქალაქეებს, რომლებსაც სიაში შეყვანილი ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეობაც აქვთ, შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შესასვლელად ისინი დამატებით შემოწმებას გაივლიან. დანარჩენ შემთხვევებში ბრიტანეთის მოქალაქეებს შეზღუდვები არ შეეხება.

ბრიტანეთის მოსახლეობა კი ტრამპის წინააღმდეგ გამოდის. გაერთიანებულ სამეფოში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რომლის მიხედვითაც ამერიკის პრეზიდენტს ქვეყანაში შესვლა უნდა აეკრძალოს. პეტიციას ხელი ნახევარ მილიონ ადამიანზე მეტმა მოაწერა, რაც იმის წინაპირობას იძლევა, რომ საკითხი ბრიტანეთის პარლამენტმა განიხილოს. ტრამპის მიერ საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას პროტესტი გამოუცხადეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა, ლონდონის მერმა სადიკ ჰანმა და ლეიბორისტთა ლიდერმა ჯერემი კორბინმა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, ტერეზა მეიმ თავდაპირველად განაცხადა, რომ ამერიკაში ლტოლვილების მიღების საკითხი ამერიკის მთავრობის გადასაწყვეტია, რისთვისაც მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. მოგვიანებით კი მეიმ განაცხადა, რომ ტრამპის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.

ფრანგმა სოციალისტებმა საპრეზიდენტო კანდიდატი აირჩიეს

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პრაიმერიზში ბენუა ამონი დაწინაურდა. წინასწარი მონაცემებით, განათლების ყოფილმა მინისტრმა კონკურენტი მანუელ ვალსი სოლიდური უპირატესობით ჩამოიტოვა. საპრეზიდენტო არჩევნები საფრანგეთში აპრილში გაიმართება. გამარჯვების რეალურ კანდიდატებად ფრანსუა მიონსა და მარინ ლე პენს განიხილავენ.

შულცი ქვეყნის გაერთიანების პირობას დებს

გერმანიის კანცლერობის კანდიდატი პირობას დებს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები საინტერესო იქნება. ამის შესახებ მან თანაპარტიელებთან შეხვედრისას განაცხადა. ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, კანცლერის პოსტის დაკავების შემთხვევაში ის ყველანაირად ეცდება სოციალურ წრეებს შორის არსებული უთანხმოება აღმოფხვრას და ქვეყანა გაერთიანოს. კანცლერობის კანდიდატად შულცი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ორი დღის წინათ დაასახელა.

კვებეკის მეჩეთში 4 ადამიანი დაჭრეს

კანადის ქალაქ კვებეკის მეჩეთზე თავდასხმა განხორციელდა. ისლამურ ცენტრში 3 შეიარაღებული პირი შეიჭრა და ცეცხლი გახსნა. შედეგად, 4 ადამიანი დაიჭრა. თავდასხმისას მეჩეთში 40-მდე ადამიანი იმყოფებოდა.

სმარტფონი, რომელიც ირეცხება

იაპონურმა კომპანია Kyocera-მ წარმოადგინა სმარტფონი Rafre, რომლის გარეცხვაც შესაძლებელია. როგორც უცხოური მედიით გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, რეცხვის გარდა სმარტფონის უპირატესობა კიდევ არის ის, რომ დავარდნისას არ ტყდება და საჭიროების შემთხვევაში მისი ანტისეპტიკებით გარეცხვაც შესაძლებელია.

Rafre-ს 5-დიუმიანი FullHD ეკრანი გააჩნია. სმარტფონი Android 7.0 Nougat სისტემაზე მუშაობს.

ვოლკსვაგენი ლიდერობს

ოფიციალური სტატისტიკით, გერმანულმა კონცერნმა 2016 წელს 10 მილიონ 310 ათასი ავტომობილი გაყიდა, რაც 2015 წლის მონაცემს 3,8 პროცენტით აღემატება. გაყიდვების მაჩვენებლით გერმანულმა კონცერნმა იაპონური ტოიოტა ჩამოიტოვა. როგორც ირკვევა, შარშან იაპონურმა მწარმოებელმა მსოფლიოში 10 მილიონ 175 ათასი ავტომანქანა გაყიდა.

სომხური გეგმა: ტვირთის გადაზიდვა რუსეთში ე.წ. სამხრეთ ოსეთის გავლით

სომხეთი რუსეთში ტვირთების გატანის ალტერნატიულ მარშრუტს ეძებს. ამჟამად ერთადერთი სახმელეთო გზა საქართველოზე გადის, მაგრამ სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე არსებულმა კლიმატურმა პრობლემამ მეზობელი ქვეყნის მთავრობა საფიქრალში ჩააგდო.

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კარენ კარაპეტიანმა დაავალა ტრანსპორტის მინისტრს, რომ ეს საკითხი ქართულ და რუსულ მხარესთან ერთად განიხილოს და სატრანსპორტო გადაზიდვის ალტერნატიული მარშრუტებით განხორციელების შესახებ წინადადება პირველ მარტამდე წარადგინოს. ალტერნატიული გზის ძიების პროცესში არჩევანი ტვირთების ე.წ. სამხრეთ ოსეთის გავლით გადაზიდვაზე კეთდება, ნაწილობრივ კი საჰაერო და სარკინიგზო ხაზიც მოიაზრება.

სომხეთის ტრანსპორტის მინისტრ ვაან მარტიროსიანის განცხადებით, ეს საკითხი მუდმივად ხელისუფლების ყურადღების ცენტრში იქნება.

„სამხრეთ ოსეთის“ მარშრუტთან დაკავშირებით ჩვენ ვატარებთ ინტენსიურ მოლაპარაკებას რუსეთთან და საქართველოსთან. ვცდილობთ, გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მხარეები შეთანხმდნენ ამ საკითხზე. იხილება სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად, ზემო ლარსის გამტარუნარიანობის ზრდა, ასევე ალტერნატივად მიიჩნევა „სამხრეთ ოსეთის“ ვარიანტი და საქართველოს მიერ ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა განიხილება რუსეთს, საქართველოს და სომხეთს შორის, რადგანაც ტვირთბრუნვა ქვეყნებს შორის მუდმივად იზრდება“, — აღნიშნა კარენ კარაპეტიანმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში აღნიშნავენ, რომ ოფიციალურ ერევანს საქართველოსთვის ჯერ არ მიუმართავს. როგორც სააგენტო „პირველს“ განუცხადეს, მომართვის შემთხვევაში ქართული მხარე ქვეყნის კანონმდებლობისა და ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს. შესაბამისად, სომხური ტვირთებისთვის ალტერნატიული გზა მხოლოდ შავ ზღვაზე გადის.

„სომხური მხრიდან აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში შარშან ივლისში, მეწყერის ჩამოწოლის გამო ლარსის გამშვები პუნქტის დაკეტვის დროსაც დადგა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა ტვირთების დროებით გატარება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც ფორსმაჟორულ სიტუაციაში, ნეიტრალური სტატუსით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტვირთის გატარებას ითვალისწინებს. თუმცა, რუსეთის პოზიციის გამო, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსს შეეხებოდა, ტვირთების გადასატანად არჩევანი საზღვაო მარშრუტზე შეჩერდა.

რაც შეეხება მასმედიით გავრცელებულ ბოლო ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ სომხურ მხარეს საქართველოსთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ მოუმართავს. მომართვის შემთხვევაში, მთავრობა შეისწავლის, კონკრეტულად რომელ ალტერნატიულ მარშრუტებზეა საუბარი და იმოქმედებს ქვეყნის კანონმდებლობისა და ინტერესების შესაბამისად“, — აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

სომხეთს შესაძლოა ე.წ. სამხრეთ ოსეთისკენ თვალი იმიტომაც უჭირავს, რომ სეპარატისტული რეგიონი რუსეთთან საერთო საბაჟოს ქმნის. სომხეთი კი, თავის მხრივ, ევრაზიული კავშირის სახელმწიფოთა საბაჟო კავშირის წევრია.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ქვემო ზარამაგს“, ერთადერთს, რომლის გავლითაც რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის გადაადგილება ხდება, ამიერიდან რუსული და „სამხრეთ ოსური“ საბაჟო ერთობლივად გააკონტროლებს.

აქამდე ტვირთს საბაჟო შემოწმება ორჯერ უნდა გაევლო — ჯერ რუსული, შემდეგ კი — ოსური. ახლა კი, ამ მიმდინარე წლის ბოლომდე პოსტი „რუკ“-ი როკის გვირაბის სამხრეთის მხრიდან მუშაობას შეწყვეტს, ხოლო ოსი მესაზღვრეები საზღვრის რუსულ მხარეს გადავლენ და კონტროლს რუსულ საბაჟო სამსახურთან ერთობლივად განახორციელებენ. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის რუსული და „სამხრეთ ოსური“ საბაჟო ორგანოების ინტეგრაციის შესახებ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც ხელი 2016 წელს მოეწერა.

საბაჟო სფეროში დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს 2020 წლისთვის „სამხრეთ ოსური“ საბაჟოს ევრაზიული კავშირისა და რუსეთის კანონმდებლობაზე გადაყვანასაც.

დანიელ ბექაური

როცა სახელფასო ხარჯები სატირალია!

„საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში 19 დეკემბერს გამოიცა თავდაცვის მინისტრის ბრძანებები საშტატო სტრუქტურების რეორგანიზაციის შესახებ.

შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების რეორგანიზაციისა და შტატების ოპტიმიზაციის საკითხთან დაკავშირებით, გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით 2016 წლის 12 ნოემბერს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა არსებული საშტატო სტრუქტურები და ოპტიმიზაციისათვის საჭირო რეკომენდაციები შეიმუშავა. სამუშაო ჯგუფმა შეაფასა გარკვეული თანამდებობების საჭიროებები, გამოავლინა დუბლირებული ფუნქციების მქონე სტრუქტურული ერთეულები და საბოლოო რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისთვის გადასცა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას. **რეორგანიზაციის შედეგად მთლიანობაში თავდაცვის უწყება 2250-მდე ადამიანმა დატოვა.**

მათ შორის სამოქალაქო ოფისიდან:

1. შტატგარეშე – 400;

2. შტატიანი – 1350; სულ 1750 სამოქალაქო პირი.

შეიარაღებული ძალებიდან სამხედრო პირები:

1. ოფიცერი – 217;

2. სერჟანტი – 123;

სულ – 340 სამხედრო.

აქედან 209 ოფიცერმა ერთჯერადი გასასვლელის დახმარებით, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა შეიარაღებული ძალები. მათზე გასაცემი კომპენსაციის მთლიანმა თანხამ 5 მილიონ 197 ათას 500 ლარი შეადგინა, ხოლო კომპენსაციების განაკვეთი განისაზღვრა წოდებების მიხედვით:

ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი – 10 ათასი ლარი; კაპიტანი – 14 ათასი ლარი; მაიორი – 18 ათასი ლარი; ვიცე-პოლკოვნიკი – 23 ათასი ლარი; პოლკოვნიკი – 29 ათასი ლარი.

ოპტიმიზაცია შეეხო – ძირითადად სამოქალაქო პირებს. ოპტიმიზაცია-რეორგანიზაციის ფარგლებში სტრუქტურული ცვლილებებიც განხორციელდა როგორც სამოქალაქო ოფისში, ასევე შეიარაღებულ ძალებში.

თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის შედეგად ამ დროისთვის დაზოგილი თანხის მოცულობა შეადგენს 32 მილიონ ლარს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში რეორგანიზაციის პროცესი 2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო. სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ მოსვლისთანავე შეიმუშავა სისტემური ხარვეზების აღმოფხვრისა და უწყების სტრატეგიული განვითარების გეგმა.

რეფორმის მიზანი, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, ნატოსთან თავსებადი, თავდაცვისუნარიანი შეიარაღებული ძალების შექმნა და სრულყოფაა, რაც უწყებაში ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვის, ბიუროკრატიული აპარატის შემცირების, დუბლირებული ფუნქციების აღმოფხვრის და უფუნქციო საშტატო ერთულების გაუქმების გზით უნდა განხორციელდეს.

ოპტიმიზაციის პროცესი თავდაცვის სამინისტროში მმართველი რგოლიდან დაიწყო, რაც მრჩეველთა ინსტიტუტის გაუქმებაში გამოიხატა, შედეგად, მხოლოდ ამ გადაწყვეტილებით, დაიზოგა 389 556 ლარი, რომელიც მინისტრის და მისი მოადგილეების 10 მრჩევლის წლიურ ანაზღაურებას შეადგენდა. მრჩევლების შტატი გაუქმდა გენერალურ შტაბსა და ქვესტრუქტურებშიც, რის შედეგადაც მთლიანობაში 1 მილიონ ლარზე მეტი თანხა დაიზოგა.

2016 წელს, თავდაცვის სამინისტროს 670-მილიონიან ბიუჯეტში 67% მხოლოდ სახელფასო და სოციალურ ხარჯებზე მოდიოდა, ხოლო 33 % ტექნიკის, ტყვია-წამლის და სხვა საჭიროებებზე იყო გათვლილი, რაც არასაკმარისი და გაუმართლებელი მიდგომაა, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ნატოს სტანდარტით, ბიუჯეტში სახელფასო და ადმინისტრაციული ხარჯი 50-დან 53 %-მდე განისაზღვრება. შესაბამისად, სტრატეგიული პარტნიორებისა და ექსპერტების ყველა რეკომენდაცია, თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, სწორედ ბიუჯეტის დაბალანსებისა და ეფექტურად განკარგვის საკითხს ეხება“.

თავდაცვის სამინისტრო

◎ პოლიტიკური პიარის ამარა

ოკუპირებულ ტერიტორიებს – განსაკუთრებული სტატუსი!

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისთვის – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების თაობაზე თანხმდებიან, აზრთა სხვადასხვაობა კი, ქვეყნის კონსტიტუციის პრეამბულაში ნატოსა და ევროკავშირის ჩანაწერის აუცილებლობის სურვილმა წარმოქმნა.

პრეამბულა რაიმე მნიშვნელოვანი აქტის, საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულების, დეკლარაციის შესავალი ნაწილია, რომელშიც ჩამოყალიბებულია აქტის მიღების მიზეზები, მისი ძირითადი პრინციპები და მთავარი მიზნები. როგორც წესი, პრეამბულას იურიდიული ძალა არა აქვს, შესაბამისად, მმართველი გუნდის ნაწილი პრეამბულაში ნატოსა და ევროკავშირის მიმართ საქართველოს დამოკიდებულების დაფიქსირებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, ოპოზიციის ნაწილი კი, საპირისპიროს ამტკიცებს.

როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ელენე ხოშტარიამ განაცხადა, თუ ქვეყანას ევროკავშირისა და ნატოს წევრობა სურს, ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის პრეამბულაში საერთაშორისო ორგანიზაციების თაობაზე ჩანაწერის გაკეთება იმის ჩვენება იქნება, რომ ეს მიმართულება სახელმწიფოს სტრატეგიული და ფუნდამენტური ამოცანაა.

მისი თქმით, ქვეყნის კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერების გაკეთების საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს და ამ თვალსაზრისით, ოპოზიციის მოთხოვნა უნიკალური არ არის

კანონმდებლის მოსაზრებით, ეს საკითხი ამ ხელისუფლების ერთგვარი ტესტია იმის თაობაზე, არიან თუ არა მზად, მათ მიერ დეკლარირებული ამოცანა კონსტიტუციაში ასახონ.

„თუ ისინი ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავენ, მაშინ საგარეო კურსთან მიმართებაში პრეამბულაში საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ. აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, თუ ხელისუფლება „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად ამგვარ ჩანაწერს უარყოფს. ეს ამ ხელისუფლებისთვის კლასიკური შემთხვევა იქნება, რადგან, ერთი მხრივ, ისინი საუბრობენ იმაზე, რომ ევროკავშირსა და ნატოში უნდათ და, მეორე მხრივ, პერიოდულად, ნატოსა და დასავლეთს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. მმართველი გუნდის მხრიდან რუსულ პრობლემებზე თვალების დახუჭვა და დასავლეთის მიმართ პასიური პოლიტიკის წარმოება ხშირად ხდება, მაგრამ ეს თემა საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით, მათ გულწრფელობაში კიდევ ერთ კითხვის ნიშანს გააჩენს“, – აღნიშნავს ხოშტარია.

თანაგუნდელის მსგავსად, ოპოზიციონერი დეპუტატი ირაკლი აბესაძე კონსტიტუციის პრეამბულაში მსგავსი ჩანაწერის დაფიქსირებას მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევს.

საპარლამენტო უმცირესობისგან განსხვავებით, კონსტიტუციის პრეამბულაში ნატოსა და ევროკავშირის სახელწოდებების ჩაწერის აუცილებლობას ვერ ხედავს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ირმა ინაშვილი.

როგორც for.ge-ს ინაშვილმა განუცხადა, მისი გუნდი ევროინტეგრაციის მომხრეა და ამ პროცესს არანაირად არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს მისწრაფებები კონსტიტუციის პრეამბულაში არ უნდა აისახოს, რადგან ეს საკითხი კონსტიტუციის საგანი არ არის.

„ჩვენი გეზი სწორედ ევროპისკენ არის, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ მიმაჩნია, რომ კონსტიტუციის პრეამბულაში ეს მისწრაფებები აისახოს“, – დასძენს ინაშვილი.

ოპოზიციის მსგავსად, საკითხის თაობაზე აზრი ორად უმრავლესობაშიც იყოფა. მმართველი გუნდის ნაწილი კონსტიტუციის პრეამბულაში მსგავსი ჩანაწერის გაჩენაში პრობლემას ვერ ხედავს, მეორე ნაწილი ამას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი ფიქრობს, რომ პრეამბულაში გარკვეული სულისკვეთება უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რადგან ევროატლანტიკური ინტეგრაცია გარკვეული სტანდარტის შექმნას გულისხმობს.

„კონსტიტუციის ფორმულირება ჩვენი ქვეყნის მთავარ პრინციპებს – ევროპულ მისწრაფებებს განსაზღვრავს. აუცილებელი არ არის, პრეამბულაში სტრუქტურა დაასახელო, ისევე როგორც კატეგორიულად მიუღებელია უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით კონსტიტუციის ფარგლებში ისაუბრო. ადამიანები, რომლებიც ასე არ ფიქრობენ, არ შეიძლება, კონსტიტუციის გარეთ დატოვო. ყველა ჩვენი მოქალაქეა და შეიძლება მათ სხვადასხვა მოსაზრებები ჰქონდეთ“, – აცხადებს ვოლსკი.

ვოლსკის მსგავსად, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის წევრი კობა ნარჩემაშვილი მიიჩნევს, რომ პრეამბულაში მსგავსი ჩანაწერი არ უნდა იყოს.

როგორც ნარჩემაშვილმა განაცხადა, ოპოზიციის მხრიდან ამ თემაზე საუბარი ტიპური პიარაქციაა იმისათვის, რომ ხალხში განცდა გააჩინონ, თითქოსდა საქართველო ევროატლანტიკური მისწრაფების ქვეყანა არ არის და საქართველოს ამის დეკლარირება არ უნდა. დეპუტატის შეფასებით, სამართლებრივად კონსტიტუციაში ასეთი რამის ჩაწერა არ შეიძლება.

თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე პრეამბულაში მსგავსი ჩანაწერის წინააღმდეგი არ არის და არ თვლის, რომ რაიმე პრობლემას წარმოადგენს, რომ ეს საკითხი პრეამბულაში ეწეროს.

„ქვეყნის საგარეო კურსი გადახედვას არ ექვემდებარება. პროცედურული საკითხია ის, რამდენად უპრიანია, კონსტიტუციაში ასეთი რაღაცის ჩაწერა“, – აღნიშნავს მდინარაძე.

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ახალი ინიციატივის გაჟღერებას, იდეა საკონსტიტუციო კომისიის წევრს ავთანდილ დემეტრაშვილს ეკუთვნის.

დემეტრაშვილი განმარტავს, რომ კონსტიტუციაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განდგომად რეგიონებს განსაკუთრებული სტატუსი გააჩნიათ. მისი მოსაზრებით, ეს იმისთვის გაკეთდება, რომ აფხაზებმა და ოსებმა გაიგონ, ქართული მხარე მათ რას სთავაზობს.

– ჩვენ ვამბობთ, რომ მათ სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით, უფრო მაღალი სტატუსი ექნებათ. ეს მაღალი სტატუსი რაში გამოიხატება, ეს შეიძლება ან კონსტიტუციაში დაფიქსირდეს, ან მათთან მოლაპარაკების შემდგომ. შემდგომი სხდომისთვის კონკრეტულ ნორმატიულ ნაწარმოებს მოვამზადებ, თუ რას ნიშნავს განსაკუთრებული სტატუსი. ამით მათთან შერიგებისთვის არა მხოლოდ ნაბიჯს გადავდგამთ, არამედ ამ პრობლემის აქტუალიზაციას მოვახდენთ, რადგან თითქოს, ეს პრობლემა გაიყინა. საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ საკონსტიტუციო კომისია ამაზეც მსჯელობს და გამორიცხული არ არის, რომ კონსტიტუციაში ეს მაღალი სტატუსი დაფიქსირდეს. ასევე ამით საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავთ, ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარონ, – აცხადებს დემეტრაშვილი.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა დაახლოებით ერთი თვის წინათ დაიწყო... „დაუნდობელი“ კამათი გრძელდება.

თეონა მანაგაძე

ჭიდაობა

„თავისუფლების“ ორი „ოქრო“

გასულ უქმეებზე საფრანგეთის დედაქალაქში პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს 15 ქვეყნის წარმომადგენლებმა. მათ შორის ხუთი ქართველი ფალავანი იყო (მწვრთნელები - ემზარ ბედინეიშვილი და ნუგზარ სხირელი). თავი გამოიჩინეს შოთა ფარტენაძემ (61 კგ) და გენო პეტრიაშვილმა (125 კგ), რომლებიც პარიზული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

ფარტენაძემ საჩემპიონო გზაზე ოთხი მეტოქე დაამარცხა: ჯერ ფრანგ ქუენტინ სტიკერს (8:6) აჯობა, შემდეგ - შვეიცარიელ რენე რანგს (4:1) და უნგრელ იოზეფ მოლნარს (10:0). გადამწყვეტ პაექრობაში კი ამერიკელი ჯეისონ ნესი დაჯაბნა (9:2) და პირველი ადგილი დაიკავა. გენო პეტრიაშვილი სამჯერ გავიდა ხალიჩაზე და სამჯერვე თავაწეული გამოვიდა იქიდან. ქართველმა ფალავანმა ზედიზედ სძლია ამერიკელებს - ბობი ტელფორდსა (11:0) და ზაკ რეის (10:0), ხოლო ფინალში უნგრელ დანიელ ლიგეტს (8:2) მოუგო და ოქროს მედალი მოიპოვა. ლევან მურცხვალაძე (57 კგ), ავთანდილ კენჭაძე და დავით ტლაშაძე (ორივე 74 კგ) კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

გივი გაგუა

ფეხბურთი

ლევან მჭედლიძე - 43 დღეში დამყარებული პირადი რეკორდი

ლევან მჭედლიძეს კარიერაში საუკეთესო პერიოდი უდგას და ამის თქმა თამამად შეიძლება. „ემპოლის“ ქართველმა ფორვარდმა იტალიის სერია A-ში გატანილი გოლების მხრივ პირადი რეკორდი დაამყარა და ამის გასაკეთებლად სულ რაღაც 43 დღე დასჭირდა. დიახ, სწორედ ზემოხსენებულ პერიოდში მოახერხა ლევანმა 5 გოლის გატანა, რაც მის კარიერაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აქამდე ყველაზე მეტი, 4 გოლი მას 2014-2015 წლების სეზონში ჰქონდა გატანილი.

წლეულს მჭედლიძემ პირადი ანგარიში 2016 წლის 17 დეკემბერს გახსნა, როდესაც „კალიარი“ დაამწუხრა. იმავე მატჩში მან დუბლი გაიფორმა. შემდგომ კი „ატალანტას“, „უდინეზესა“ და „კროტონესაც“ გაუტანა. აქვე გეტყვით, რომ ხსენებულ 43 დღეში „ემპოლიმ“ 6 მატჩი ჩაატარა და ამდენივე გოლი გაიტანა. როგორც ხედავთ, აქედან ხუთი ქართველის ანგარიშზეა. ის ერთი კი „პალერმოს“ წინააღმდეგ მასიმო მაკარონემ შეაგდო პენალტით და თერთმეტმეტრიანიც დიდწილად ჩვენებურის დამსახურებით დაინიშნა.

შეიძლებოდა 26 წლის ქართველი ფორვარდის მონაგარი უფრო კარგი ყოფილიყო, 2 კვირის წინათ, „სამპდორიასთან“ თავისივე მოპოვებული თერთმეტმეტრიანი რომ გაეტანა. ისე კი მჭედლიძე ტოსკანელთა ძირითად შემადგენლობაში უკვე მიჯრით 7 შეხვედრაა ხვდება, რაც მის კარიერაში ასევე პირველად მოხდა.

გამოჩნდა, რომ თუ ლევანს ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს ფეხბურთის თამაში და გოლების გატანა შეუძლია. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ კალჩოში თავის გამოჩენა ადვილი სულაც არაა. სხვათა შორის, მჭედლიძის ბოლოდროინდელი წარმატებული თამაშების შემდგომ იტალიაში ბევრი იხსენებს 2012 წლის 8 ივნისს, როდესაც „ემპოლი“ სერია B-ს საპლეი-აუთო შეხვედრას „ვიჩენცასთან“ ატარებდა. მაშინ პირველი მატჩი 0:0 დასრულებულიყო, ხოლო “კარლო კასტელანიზე — 0:2 აგებდა. 65-ე წუთზე მოედანზე მჭედლიძე გამოჩნდა და რვა წუთში სხვაობა შეამცირა, დარჩენილ დროში კი, მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს, შეხვედრა მოიგეს და ლეგა პროში დაქვეითებას გადაურჩნენ. ჰოდა, ბევრი იმასაც ამბობს, „ემპოლი“ დღეს სერია A-ში რომ თამაშობს, დიდწილად ზემოხსენებული გოლის დამსახურებაა.

ამჟამად მჭედლიძის ანგარიშზე სერია A-ში ჯამში გატანილი 10 გოლია, რომლებიც შემდეგ თამაშებსა და სეზონებზე მოდის:

„იუვენტუსი“ — „პალერმო“ 1:2 (2008-2009 წლების სეზონი), „ემპოლი“ — „სასუოლო“ 3:1 (2014-2015), „ემპოლი“ — „ფიორენტინა“ 2:3 (2014-2015), „ინტერი“ — „პალერმო“ 4:3 (დუბლი, 2014-2015), „ემპოლი“ — „კალიარი“ 2:0 (დუბლი, 2016-2017), „ატალანტა“ — „ემპოლი“ 2:1 (2016-2017), „ემპოლი“ — „უდინეზე“ 1:0 (2016-2017), „კროტონე“ — „ემპოლი“ 4:1 (2016-2017).

როგორც შეამჩნევდით, ქართველმა შემტევმა ზუსტად იმავე რაოდენობის გოლების გატანას, რაც მანამდე ჰქონდა ჯამში გატანილი სერია A-ში, ახლა უკვე მხოლოდ 43 დღე და 6 თამაში მოანდომა. რაც სამომავლოდ უდავოდ უფრო მეტის იმედს აჩენს...

გიორგი ზოთაძე

მძლეოსნობა

ბალკანეთი ქუთაისში შეიკრიბება

თბილისის მძლეოსნობის სასახლეში ურთიერთთანამშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსი ახვლედიანმა, ქუთაისის პირველმა ვიცე-მერმა ნოდარ მიქიაშვილმა და ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა და ბალკანეთის მძლეოსნობის ასოციაციის თავკაცმა დობრომირ კარამარინოვმა. ამ ხელშეკრულებით ქუთაისის საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, სარბენი ბილიკების მოწყობა და ბაზის ისე მომზადებაა გათვალისწინებული, რომ მან ნებისმიერი მასშტაბის მძლეოსნურ შეჯიბრებებს უმასპინძლოს.

გადაწყვეტილია, რომ ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაციის შემდეგ 2018 წელს აქ ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც 17 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ევროპის მძლეოსნობის ფედერაცია წლეულს გაზაფხულზე ქუთაისს განიხილავს 2018 წელს ერთ-ერთ კანდიდატ ქალაქად ევროპის გუნდური ჩემპიონატის, ტყორცნებში ან 18-წლამდელთა კონტინენტის პირველობის სამასპინძლოდ. როგორც საპატიო სტუმარმა დობრომირ კარამარინოვმა „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში აღნიშნა, ევროპისა და ბალკანეთის მძლეოსნობის ფედერაციების მიზანია, სპორტის დედოფლის ბაზები მხოლოდ დიდ ქალაქებში არ იყოს კონცენტრირებული. ისინი მოსაწყობია პერიფერიებში, ამიტომაც სასიამოვნოა ქუთაისში მძლეოსნურ ბაზებზე ზრუნვა და იქ 2018 წელს ბალკანეთის ჩემპიონატის ჩატარებაზე უყოყმანოდ დავთანხმდითო. იმედია, ქართველები ამ შეჯიბრებასაც უმაღლეს დონეზე უმასპინძლებენ.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან - **ნოდარ მიქიაშვილი, დობრომირ კარამარინოვი, ალექსი ახვლედიანი.**

ვაჟა დანელიას ფოტო

წყალბურთი

თანაგუნდელებს ექვსი გოლით შეეწია

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრების კაპიტანი ზურაბ რურუა რუმინეთის სუპერლიგაში თამაშობს და ბრაშოვის “კორონა სპორტულ სტუდენტესის“ ღირსებას იცავს. ქართველმა წყალბურთელმა და მისმა თანაგუნდელებმა, რომლებიც ბრინჯაოს მედლისთვის იბრძვიან, მერვე ტურში (თითოეულ ტურში იქ ორ-ორი მატჩი იმართება) გასვლითი შეხვედრები ჩაატარეს ბოლოსწინა (სუპერლიგაში რვა გუნდი თამაშობს) ადგილზე მყოფ „კრისულთან“. პირველ მატჩში „სპორტულმა“ 14:4 (4:1, 2:0, 4:0, 4:3) გაიმარჯვა. რურუამ მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა თავი. სამაგიეროდ, მეორე ორთაბრძოლაში იყოჩაღა— ხუთი ბურთი გაიტანა. ბრაშოველებმა ეს მატჩიც დიდი ანგარიშით — 15:3 (5:0, 3:1, 5:1, 2:1) მოიგეს და 30 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. ამდენივე ქულა აქვს „დინამოს“, რომელმაც მე-8 ტურში შინ ორივე შეხვედრა დათმო ერთ-ერთ ლიდერ „ორადეასთან“ — 6:11, 4:7 და ბურთების უარესი შეფარდებით მე-4 პოზიციაზეა ჩემპიონატს 14 თამაშიდან 42 ქულით (ყველა მოგება) ბუქარესტის „სტიაუა“ ლიდერობს. ამდენივე ქულა აქვს „ორადეას“, მაგრამ დედაქალაქელებმა კონკურენტზე ორი მატჩით ნაკლები გამართეს.

ლექსო ცინცაძე

კალათბურთი

ფაჩულიას მორიგი გაბრწყინება

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ გასვლაზე „პორტლენდი“ 113:111 დაამარცხა. ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 24 წუთი დაჰყო. ამ დროში ზაზამ გუნდს 14 ქულა, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 პასი შესძინა. ქართველმა ცენტრმა 5-დან სამი ორქულიანი და 10-დან 8 საჯარიმო სროლა გამოიყენა. ფაჩულიას პარკეტზე ყოფნის დროს „მეომრებმა“ მეტოქეს ჯამში 12 ქულით აჯობეს, რაც „გოლდენ სტეიტის“ კალათბურთელთა შორის საუკეთესო მაჩვენებელია.

ყველაზე მეტი — 33 ქულა კევინ დიურანტის ანგარიშზეა, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა და 10 მოხსნასთან ერთად 6 პასი გააკეთა. „ოქროსშტატელებს“ სტეფ კარი აკლდათ, რომელიც გაციებულია.

„გოლდენ სტეიტი“ 41 მოგებით და 7 წაგებით ნბა-ს დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს. მომდევნო მატჩში „მეომრები „ შინ „შარლოტ ჰორნეტსს“ 2 თებერვალს დაუპირისპირდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

ფედერერის დაბრუნება

ავსტრალიის ღია პირველობის დასრულების შემდეგ ATP-ის რეიტინგში ბევრი ცვლილება მოხდა. შეგახსენებთ, რომ „მწვანე კონტინენტზე“ კლასიკური ფინალი



გათამაშდა: ფედერერი — ნადალი 3:2.

ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორი როჯერ ფედერერი მე-17 პოზიციიდან ათეულში დაბრუნდა და მეათე ადგილზე გადავიდა. ვავრინკამ და რაონიჩმა ადგილები გაცვალეს — შვეიცარიელი მესამეა, ხოლო კანდელი — მეოთხე. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა რაფაელ ნადალმა მეცხრე ადგილიდან მეექვსეზე გადაინაცვლა. რეიტინგის პირველი ორი ნომერი კი უცვლელია. დავძენთ, რომ ფედერერისთვის ეს სარეკორდო — მე-18 სლემია.

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი 92-ე ადგილიდან 89-ე პოზიციაზე გადავიდა — 630 ქულა.

კოგა კოგახიძე

◎ ხანძარი თბილისში

SOS! „ბავშვთა სამყარო“ მთლიანად განადგურდა

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლის ინფორმაციით, ხანძრის გამოწვევე მიზეზებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. როგორც დავით გელაშვილმა განაცხადა, „ბავშვთა სამყაროს“ მზიდმა კონსტრუქციამ დაზიანება მიიღო და ამჟამად შენობა ავარიულია.

რაც შეეხება მომხდარს, ხანძრის შესახებ ინფორმაცია 04:10 საათზე შევიდა, პირველი დანაყოფი ადგილზე 3 წუთში მივიდა, ცეცხლი თითქმის მთლიან შენობას ეკიდა.

ცეცხლი ეკიდა „ბავშვთა სამყაროს“ ტერიტორიაზე ღია სავაჭრო ფართს. ადგილზე მუშაობდა 31 სახანძრო დანაყოფი, თუმცა 5 წუთში, ხანძრის ქრობიდან ცეცხლი გავრცელდა „ბავშვთა სამყაროს“ მთლიან შენობაზე, რომლის ფართი 10 000 კვ. მეტრია, ხოლო ცეცხლის ქრობიდან 10-12 წუთში, 18 000 კვ.მეტრი ღია ცეცხლის ფართობი იწვოდა. ხანძარი ლოკალიზებულია და მიმდინარეობს ცალკეული ობიექტების დამუშავება.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ქონებრივი ზარალების მართვის დეპარტამენტის დირექტორი აცხადებს, რომ მათ კომპანიაში დაზღვეულია მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა სამყაროს შენობა-ნაგებობა და არა მოვაჭრეების კუთვნილი ქონება. მისივე თქმით, აღნიშნული შენობა-ნაგებობა დაზღვეულია 6 მილიონ ლარად.

„ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ამ ეტაპზე შენობის შიგნით შესვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, მიზეზების და ასევე ზიანის ოდენობის დასადგენად. ჩვენი მხრიდან უმოკლეს დროში მოხდება მოცემული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურება.

ზიანის ოდენობა გვეცოდინება ექსპერტიზების დასრულების შემდეგ, რაც გულისხმობს ასევე შენობის გარემონტებას მისი აღდგენის შემთხვევაში, ხოლო თუ შენობა ავარიული გახდა და მისი აღდგენა ფიზიკურად შეუძლებელია, ბუნებრივია, სრულ ზიანზე იქნება საუბარი“, — განაცხადა ებიტაშვილმა.

ხანძრის შედეგად ჩამოიწერა შენობის ორი სართული. შენობის აღდგენა შეუძლებელია, საავადმყოფოშია გადაყვანილი ერთი მაშველი-მეხანძრე.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ დედაქალაქის მერი და საკრებულოს წარმომადგენლები.

ავთანდილ ბექაური

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოვაჭრეებს შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ

„ბავშვთა სამყაროში“ ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოვაჭრეებს შეძლებისდაგვარად უნდა დავეხმაროთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრისას განაცხადა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც ხანძრის გამო საქონელი დაეწვათ, საკუთარ ნაწილში, მაქსიმალურ შეღავათს გაუწევს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხოლო ეროვნული ბანკი, მათ უშუამდგომლებს ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა შესაძლებელი გახდეს საბანკო ვალდებულებების გადავადება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია ყველა შესაბამისი ინსტიტუტის ძალისხმევის კონსოლიდაცია, რათა დაზარალებულებს ტვირთი მაქსიმალურად შეუმსუბუქდეთ. ფინანსთა მინისტრმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ „ბავშვთა სამყაროს“ შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულ მეწარმეთა დასახმარებლად და მათი საჭიროებების გასაცნობად, შემოსავლების სამსახურის სპეციალური სამუშაო ჯგუფი ადგილზე გაესაუბრა დაზარალებულ მოქალაქეებს, რათა საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისას, გათვალისწინებული იყოს თითოეული მეწარმის ინტერესები და მათ სირთულეები არ შეექმნათ.

სანთელი

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქიმიკოსი

რაულ ჩაგუნავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და კოლეგებს რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტიდან.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი უსამძიმრებს ქალბატონ ნორა სამიშკინას მეუღლის

კონსტანტინე სამიშკინის

გარდაცვალების გამო.

რასაა რომ სვამ, ხომ არ გაგიჟდი?!.

ალკოჰოლიზმი **უდავოდ მძიმე სენია და დიდი სოციალური პრობლემაა. მაგრამ, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, განსაკუთრებით კატასტროფული შედეგები ქალთა ალკოჰოლიზმს მოჰყვება. ამ მიმართულებით მრავალი სპეციალური გამოკვლევაა ჩატარებული, რომელთა შორის ერთ-ერთი ახალი და მეტად აქტუალურია ალკოჰოლის იმ ქალებზე ზემოქმედებაა, ვინც ჩვილს ძუძუს აჭმევს. ამავე დროს მედიკოსები ალკოჰოლის ზეგავლენას ასეთი დედების ბავშვებზე მოქმედებასაც იკვლევდნენ, რის აქტუალობას ის გარემოება განაპირობებს, რომ დღესდღეობით ბევრი ძუძუთი ჩვილის მკვებავი ახალგაზრდა დედა ალკოჰოლს საკმაოდ ინტენსიურად ეტანება.**

ქალის ორგანიზმში ნივთიერება ძუძუს რძეში იყრის თავს და, შესაბამისად, ჩვილის ორგანიზმში ხვდება. თანაც, რძეში ეს ნივთიერებები იმავე ოდენობით გადადის, როგორც სისხლში, ამდენად, **ბავშვის სისხლი იმდენივე ალკოჰოლს იღებს, რამდენიც დედამ დალია (!!!)**. მთელი უბედურება კი ისაა, რომ განვითარების პროცესში მყოფ მის ორგანოებს უბრალოდ არ შეუძლია იმ ოდენობით სპირტის მორევა, რომელსაც მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი ინელებს.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედის რძეში ალკოჰოლის მცირე დოზისგანაც კი, ბავშვები მალე იძინებენ და უცბად განგაშიანად იღვიძებენ. ჯერ კიდევ 25 წლის წინათ სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ სპირტიანი სასმელების მომხმარებელი დედების რძით აღზრდილი პატარები, თანატოლებს გონებრივ განვითარებაში ჩამორჩებიან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძუძუთი კვების დროს დედის მიერ ალკოჰოლის მიღება კატეგორიულად აკრძალული სულაც არ არის, მაგრამ საქმე ზომიერებაშია. განსაკუთრებულ შემთხვევაში დედას ერთი ბოკალი ღვინის დალევა შეუძლია, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მომდევნო ჭამამდე შვიდი და მეტი საათია დარჩენილი. კონკრეტული ნორმა კი ქალის ფიზიკურ პარამეტრებსა და სპირტიანი სასმლის სახეობაზეა დამოკიდებული.

მედიკოსები ასეთ რჩევასაც იძლევიან: თუკი დედა სპირტიანი სასმლის მირთმევას აპირებს, მაშინ ასეთ დროს ალკოჰოლის მიღებამდე აზრი აქვს რძის ჩამოწველას და ბავშვისთვის მის მერე მიცემას.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, განა რა ასეთი აუცილებლობა უნდა შეხვდეს ნორმალურ ქალს, რომელსაც შვილი ეს-ესაა შეეძინა, რომ სპირტიან სასმელზე ასე გადაირიოს? ანდა სადაა ამ დროს ბავშვის მამა?

სიმართლე გითხრათ, ამ დროს არავითარ „სქესობრივ თანასწორებაზე“ ბუუტურისა არა გვწამს, თუ გნებავთ, ოჯახურ ძალადობაში დაგვდონ ბრალი!

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

◎ კრიმინალი

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული ე.ი. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს შემცველი 727 აბი, ასევე, „მდმა“-ს შემცველი 52 ფირფიტა და 15,07 გრამი კანაფის ფისის შემცველი ნარკოტიკი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ე.ი.-ს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

სასამართლო პროცესი სრულად დაიხურა

ე.წ. კანიბალიზმის საქმე დაიხურა. მოსამართლე გიორგი ებანოიძემ სახელმწიფო ბრალდებისა და ერთ-ერთი ბრალდებულის ირმა ყოჩიაშვილის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილმა და პროცესის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო.

სხდომის დახურვის წინააღმდეგი იყო ერთ-ერთი ბრალდებული ბექა შენგელია. მისი ადვოკატის განმარტებით, დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, მათი ინტერესია, რომ პროცესი საჯარო იყოს.

◎ დღესასწაული

ივერიის მნათობი

წმინდა კეთილ-მსახური მეფე თამარი

31 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მეფე თამარის ხსენებას დღესასწაულობს. სულ რამდენიმე წელია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით საქართველოში თამარობა აღინიშნება 31 იანვარსაც, დღეს მისი მიცვალების დღეა.

ნიშანდობლივია, რომ მეფე თამარმა ხელისუფლების სათავეში მოსვლა საღმრთო საქმით დაიწყო. თვრამეტი წლის ასაკში თამარ მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ მღვდელმთავრებს და მამათა სიმრავლეს მან მდაბლად მიმართა: „გემოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა.

თამარ მეფის დროს აიგო ბერთუბნისა და ბეთანიის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და სხვ. თამარ მეფე მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებსა და ცენტრებს. ამ მოღვაწეობისთვის ქართულმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა... ყველაზე მეტი ლეგენდა და თქმულება თამარისადმია მიძღვნილი.

საქართველოში უამრავი ტაძარია მის სახელზე აგებული... მის სახელს არქმევენ მშობლები შვილებს, მის ფრესკას, რომელიც დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ჩრდილოეთ კედლის მშვენებაა და ჩვენი მწყემსმთავრის ხელითაა შესრულებული, თაყვანს ვცემთ და ვადიდებთ ქართველები და (არა მარტო ქართველები) უცხოელებიც!

გიული ლიპარტია

ფრანგი ლამაზმანის აღიარება

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, ჩატარებულ „მის სამყაროს“ კონკურსის გამარჯვებული 24 წლის ფრანგი ირის მითენეარი გახდა. ლამაზმანი მომავალი სტომატოლოგია. პირველი ვიცე-მისის ადგილი ჰაიტელმა – რაქელ ფელისიემ დაიკავა, მეორე ვიცემისი კოლუმბიელი ანდრეა ტოვარისი გახდა.

მის სამყარო ყველაზე ტიტულოვანი კონკურსია, მასში წელს 85 ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას და... აღსანიშნავია, რომ ლამაზმანებმა კონკურსზე საკმაოდ ბევრი ისაუბრეს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.

* * *

წლევანდელ კონკურსში მშვენიერი ქართველი გოგონა ნუკა ყარალაშვილი მონაწილეობდა, მაგრამ ... მჯობნის მჯობნი არა და არ დაილია!

დევიდ ბოუის სახელობის მარკები

დიდი ბრიტანეთის სამეფო ფოსტამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ლეგენდალური მუსიკოსის დევიდ ბოუის მარკების სერიას გამოუშვებს.

საფოსტო მარკები დაიბეჭდება ე.წ. „მუსიკალური ტიტანების“ სერიის ფარგლებში. სწორედ ასეთი სახით უნდათ პატივი მიაგონ ყველა დროის კულტურულ მოღვაწეს.

მარკების ღირებულება 11 ფუნტ სტერლინგს შეადგენს და 2017 წლის მარტიდან გაიყიდება.

8 იანვარს მუსიკოსს 70 წელი შეუსრულდებოდა. სწორედ ამ თარიღის აღსანიშნავად იბეჭდება მისი სახელობის მარკები.

კრიშტიანუ რონალდუ ქორწინდება

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი წლების განმავლობაში ხვდებოდა ულამაზეს ირინა შეიკს, მაგრამ მათი ქორწილი არ შედგა. თუმცა 21 წლის მოდელმა, ჯორჯინო როდრიგესმა იმდენად მოხიბლა, 31 წლის რონალდუ, რომ 4 თვეში მასზე დაქორწინება გადაწყვიტა.

ქორწილი 2018 წლის ზაფხულში იგეგმება. ეს იქნება მსოფლიო დღესასწაული – აცხადებს მასმედია... დაველოდოთ მოვლენები როგორ განვითარდება.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

◎ ინტერნეტიდან

ალეტას „ხელოვნება“

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა პორნოვარსკვლავმა ალეტა ოუშენმა სიტყვა გატეხა და საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის“ აქციების ნაწილი არ შეიძინა, ათასვაებანანახი, წარმოშობით უნგრელი ალეტა ირწმუნება, რომ „ლივერპულის“ ქომაგად რჩება.

ბრიტანეთში ჭორი გავრცელდა, რომ პორნოვარსკვლავს ბრიტანულ ფეხბურთში ფულის ჩადება გადააფიქრებინეს, რადგან ინგლისელი ქომაგებისათვის პორნოგრაფიით ნაშოვნი ფული მაინცდამაინც მისაღები არაა. ეს შეიძლება, სიმართლეცაა, მაგრამ თავად ალეტა პორნოგრაფიაში ცუდს ვერაფერს ხედავს და საკუთარ საქმიანობას ხელოვნებას უწოდებს.

მართლაც ყველაფერი ინდივიდუალურია, თორემ თუკი პორნომსახიობობა ხელოვნებისა და მუზების მსახურებაა, მაშინ ალეტა ოუშენი თავისი საქმის ვერგილიუსი ყოფილა და ახლა ის დროა, როდესაც ოუშენის „ხელოვნებას“ ოდები უნდა მივუძღვნათ.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია ძლიერი ყინვა

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 31 იანვარს საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია ძლიერი ყინვა: დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა შესაძლოა -5, ზოგან -10, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -13, -16, მთიან რაიონებში -15, -18, მაღალმთაში -22, -25, დედაქალაქში -6, -8 გრადუსამდე დაეცეს. სუბტროპიკულ ზონაში ძლიერმა აცივებამ შესაძლებელია ციტრუსოვანი, განსაკუთრებით ლიმონის ნარგავების დაზიანება გამოიწვიოს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7021; ევრო - 2.8869;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3882;
100 რუბლი - 4.5003; თურქული ლირა - 0.6972;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3921;
1000 სომხური დრამი - 5.5599.

ამინდი 31 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -8,	დღე +3
მთიანი რაიონები -	ღამე -13,	დღე 0
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5,	დღე +3
მთიანი რაიონები -	ღამე -13,	დღე +1
თბილისი:	ღამე -8,	დღე 0

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE